# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge







იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცდენა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.


შაბათი, 19 ნოემბერი. 2016 წ. №217 (8108), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


დღის მთავარი თემა

## პარლამენტში ლანძღვა-გინება „გამჭვირვალობა“ და ევროპული დემოკრატია ყოფილა, ქართველი ერის დაავადმყოფება – ნაცების დასავლური მონაპოვარი!





**გუშინ** ახალი პარლამენტის დამფუძნებელი სხდომის დღეს, ტრადიციულად, უკვე ერთმანეთის ჭამაზე გადასულმა ნაციონალებმა კიდევ ერთხელ საქვეყნოდ გამოიმჟღავნეს თავი როგორც საკუთარი სამშობლოს წინააღმდეგ მებრძოლმა აშკარად მავნებლურმა ძალამ, რომელსაც არა მარტო არ ანაღვლებს ქართველი ხალხის ბედი, არამედ ყველაფერს კადრულობს იმისათვის, რომ როგორმე საბედისწეროდ გაუტეხოს სახელი მმართველ პარტიას, ჩაწიხლოს, რწმენა დაუკარგოს, რათა აქედანვე საფუძველი ჩაუყაროს 2020 წლის არჩევნებში თავის გამარჯვებას და კვლავ ხელისუფლების სათავეში მოვიდეს!

ხალხის ხარჯზე მუქთახორა ცხოვრებას მიჩვეულთ, ბუნებრივია, გადაჩვევა ესიკვდილებათ!

ნაციონალი დეპუტატების გამოსვლები სრულიად ლოგიკურად შეიძლება, რომ ერთი კრებსითი დეპუტატის, ამ შემთხვევაში სინდის-ნამუსზე ხელაღებული „ახალი“ დემაგოგის ნიკა მელიას აგრესიული გამოსვლით შევჯამდეს.

ჩვენი ხალხის უმრავლესობას, ვინც გუშინ თვალყურს ადევნებდა ახალი, მე-9 მოწვევის პარლამენტის ტელერეპორტაჟს, უწინარესად ასეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა: დეპუტატმა მელიამ თავისი გამოსვლის დონით დაამტკიცა, რომ იგი არა პარლამენტში, არამედ სადღაც უპატრონო საქათმეში გამოდიოდა და იქ მსხდომ უმრავლესობის 115 წარმომადგენელს ელაპარაკებოდა არა როგორც დეპუტატი კოლეგა დეპუტატებს, არამედ როგორც კვერცხის არამდებელ, ჭირიან ქათმებს, რომელთაც, მიუხედავად ქათმის ჭირისა, მაინც ყველას შესანსვლას უპირებდა.

პარლამენტის გუშინდელმა სხდომამ ისევ წამოატივტივა ამ ბოლო დროს ხალხში გავრცელებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქართველოში პარლამენტის სხდომების სატელევიზიო რეპორტაჟები უნდა აიკრძალოს!

ვიდრე 27 ნაციონალი – ერთიერთმანეთზე უარესი არამზადა, მატყუარა, მწამებელ-მწვალებელი, სიტყვითმკვლელი „კანონმდებელი“ არსებობს, ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას არაფრის კეთების თავი არ ექნება. როგორც ჩვენს გაზეთში ცნობილი მწერალი ქალი ნაირა გელაშვილი ამ რამდენიმე დღის წინათ წერდა, ნაცბანდამ და იმათმა ტვინგაყინულმა მხარდამჭერებმა ერი და ბერი კიბოთი დაასავადეს და დეპრესიაში ჩააგდეს!

> **როგორც ჩვენს გაზეთში ცნობილი მწერალი ქალი ნაირა გელაშვილი ამ რამდენიმე დღის წინათ წერდა, ნაცბანდამ და იმათმა ტვინგაყინულმა მხარდამჭერებმა ერი და ბერი კიბოთი დაასავადეს და დეპრესიაში ჩააგდეს!**

რა დიდი განსჯა სჭირდება იმას, რომ ხალხის მასობრივად დასნებოვნებას „რუსთავი-2“-ის პანდორას ყუთმა და სხვა ტელევიზიებმაც შეუწყვეს ხელი. სწორედ ამიტომ, ახალმა პარლამენტმა, მთავრობამ, თვით ნაციონალური ოპოზიციის ქარგზე მორგებულმა პრეზიდენტმა ქართველი ხალხის უმრავლესობის მოთხოვნას უნდა დაუგდოს ყური და ერთობლივად გადაწყვიტონ, რომ საპარლამენტო სხდომების ვრცელი რეპორტაჟები მოკლე საინფორმაციო ცნობებში გაიცვალოს.

ასეა ეს მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში, ასე უნდა იყოს ნაციონალებისგან მოწამლულ საქართველოშიც!

პარლამენტმა კონკრეტულ საქმესა და კანონებზე ბევრი უნდა ილაპარაკოს!

ხალხმა სული უნდა დაიმშვიდოს და ტელევიზორის ყურების ნაცვლად, საქვეყნო საქმე აკეთოს!

პარლამენტის სხდომების გამო ხალხის მოცდენა, ნერვების მოშლა და დაავადმყოფება იდეოლოგიური პრობლემა კი არა, ეროვნული დანაშაულია!

ᲗᲥᲕᲔᲜ ᲠᲐᲡ ᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲩᲕᲔᲜᲝ ᲒᲝᲜᲘᲔᲠᲝ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲝ?

ᲨᲔᲛᲝᲒᲕᲘᲔᲠᲗᲓᲘᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ, ᲔᲠᲗᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲠᲩᲘᲜᲝᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲢᲔᲚᲔᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ!!!

**„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია**


იხ. 2-3 გვ.


## „რუსთაველის ეპოქა ერმიტაჟში“




**2016 წელი** შოთა რუსთაველის საიუბილეო წელია. დიდი ქართველი პოეტის 850 წლის იუბილესთან დაკავშირებით UNESCO-მ 2016 წელი შოთა რუსთაველის წლად გამოაცხადა.

ამ საიუბილეო თარიღს „ერმიტაჟმა“ მიუძღვნა საგანგებო ფესტივალი, „რუსთაველის ეპოქა ერმიტაჟში“, რომელიც 13 ნოემბერს ერმიტაჟის თეატრში გაიმართა. მისასალმებელი სიტყვით საღამო გახსნა მ. ბ. პიოტროვსკიმ, სახელმწიფო ერმიტაჟის გენერალურმა დირექტორმა. შემდეგ განხორციელდა ტელეჩართვა თბილისიდან, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან. შეკრებილ საზოგადოებას მიმართა ხელნაწერთა ცენტრის დირექტორმა ზაზა აბაშიძემ. ასევე უძველესი ხელნაწერები წარმოადგინეს ცენტრის თანამშრომლებმა. რუსთაველის ეპოქის ძეგლების შესახებ ისაუბრა ერმიტაჟის თანამშრომელმა იაროსლავა ბილინკინამ.

ბოლოს კი საღამო დასრულდა კონცერტით, რომელიც გამართა თბილისიდან მიწვეულმა მგალობელ-მომღერალთა გუნდმა „დიდგორმა“. ანსამბლმა შეკრებილ საზოგადოებას წარუდგინა ამ საიუბილეო დღისადმი მომზადებული კონცერტი „მე რუსთაველი“, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა და აღაფრთოვანა შეკრებილი საზოგადოება. შესრულდა ქართული ხალხური სიმღერები და ტრადიციული საეკლესიო საგალობლები. აღსანიშნავია, რომ კონცერტზე შესრულდა ხალხური სიმღერები, რომლებშიც გამოყენებულია ფრაგმენტები „ვეფხისტყაოსნიდან“.

საღამოს ერმიტაჟის თეატრში დაესწრნენ სპეციალისტები, პოეზიის მოყვარულები და ქართული კულტურის გულშემატკივრები, ასევე ადამიანები, რომლებმაც შეიძლება არაფერი იცოდნენ გენიალური „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. ამ საღამომ მოგვცა საშუალება არა მხოლოდ გვეგრძნო თავი რუსთაველის ეპოქაში, არამედ იქცა მაგალითად კულტურული და სამეცნიერო ურთიერთობების გაუმჯობესებისა, – წერს ერმიტაჟის ოფიციალური ვებ გვერდი.



# ირაკლი კობახიძე: ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ეს დიდი ნდობა გავამართლო!

„ქართული ოცნების“ მიერ პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე დასახელებულმა პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა საკანონმდებლო ორგანოს სიტყვით მიმართა. ირაკლი კობახიძემ ამომრჩევლებს და თანაპარტიელებს ნდობისთვის მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ დიდი პატივია და პასუხისმგებლობაა მისი საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელად წარდგენა. ირაკლი კობახიძის თქმით, პარლამენტმა პოლიტიკური და სამართლებრივი საფუძვლების შექმნა უნდა გააგრძელოს და საგარეო პოლიტიკური ამოცანების თანმიმდევრული განხორციელება უნდა უზრუნველყოს. კობახიძის განცხადებით, ევროკავშირთან, აშშ-სთან უნდა გაღრმავდეს პარტნიორობა.

**— ეს არის ჩემთვის ძალიან დიდი პატივი და ამავე დროს უდიდესი პასუხისმგებლობა. ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ეს დიდი ნდობა გავამართლო და ვემსახურო ჩვენს ხალხს და ჩვენს ქვეყანას“,** — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

კობახიძის თქმით, პარლამენტს, როგორც ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განმსაზღვრელ ორგანოს, ქვეყნის წინსვლისა და შემდგომი განვითარების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი მისია აკისრია.

**„პარლამენტმა მომდევნო 4 წლის განმავლობაში უნდა გააგრძელოს პოლიტიკური და სამართლებრივი საფუძვლების შექმნა ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად. პარლამენტმა უნდა უზრუნველყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკური ამოცანების თანმიმდევრული განხორციელება. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში ხალხმა კიდევ ერთხელ გამოუცხადა ნდობა ქვეყნის დასავლურ საგარეო-პოლიტიკურ კურსს და საქართველოს სწრაფვას ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ. ჩვენ ქმედითი და თანმიმდევრული ნაბიჯებით ვალდებული ვართ, ხორცი შევასხათ ქართველი ხალხის ამ არჩევანს და მისწრაფებებს. ამისათვის უნდა გაღრმავდეს პარტნიორობა ევროკავშირთან, ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და სხვა დასავლელ სტრატეგიულ პარტნიორებთან, რომლებთანაც ჩვენ საერთო ღირებულებები და ინტერესები გვაკავშირებს“,** — განაცხადა კობახიძემ.

ამასთან, პრაგმატული საგარეო პოლიტიკის განხორციელებით ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის უსაფრთხოება და სტაბილურობა, უნდა გაღრმავდეს პარტნიორობა რეგიონის ქვეყნებთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოებას.

**„ყველა ამ ამოცანის შესრულებაში პარლამენტს განსაკუთრებული როლი ეკისრება. საქართველოს პარლამენტმა უნდა უზრუნველყოს ჩვენი საგარეო პოლიტიკის „წითელი ხაზების“ უმკაცრესი დაცვა. ქვეყნის დეოკუპაცია და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა დარჩება ამოცანებად, რომლებიც არცერთ შემთხვევაში არ უნდა დაექვემდებაროს რაიმე ტიპის კომპრომისს ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის განხორციელებისას“,** — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

გუშინ პარლამენტმა ირაკლი კობახიძე ერთხმად, 118 ხმით აირჩია პარლამენტის თავმჯდომარედ.

# პრეზიდენტი ევროკავშირის მისიის მოწვევისკენ მოგვიწოდებს!

**საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი პარლამენტს წინადადებით მიმართავს და მოუწოდებს მართლმსაჯულების სისტემის განვითარების სტრატეგიის შემუშავების მიზნით, ასოცირების შეთანხმების სულისკვეთებიდან და მიზნებიდან გამომდინარე, საქართველოში ევროკავშირის სპეციალური დროებითი მართლმსაჯულებისა და კანონის უზენაესობის მისია მოიწვიოს.**

აღნიშნული ინიციატივა საქართველოს პრეზიდენტმა ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომის გახსნისას გუშინ ქუთაისში გააკეთა.

**— ბალანსისა და გაწონასწორების სისტემაზე საუბარი აზრს მოკლებულია, თუ სასამართლო არ იქნება პოლიტიკური გავლენისაგან თავისუფალი. სასამართლო სისტემის გაჯანსაღება არის ახალი ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა...**

# ხელისუფლების ჭარბი კონცენტრაცია საშიშია ყოველგვარი ბოროტი განზრახვის გარეშეც კი...

**საქართველოს პრეზიდენტი მზადყოფნას გამოთქვამს, დაამკვიდროს პრობლემურ და სტრატეგიულად მნიშვნელოვან საკითხებზე წინასწარი კონსულტაციების პრაქტიკა, წარმოადგინოს საკუთარი ხედვა და შესთავაზოს პარლამენტს ის საკითხები, რომელიც, მისი აზრით, უპირველესად საჭიროებს დახვეწასა და სრულყოფას.**

პრეზიდენტის განცხადებით, დღეს პარლამენტში ხმათა კონსტიტუციური უმრავლესობა ეკუთვნის ერთ პარტიას, რომელიც სრულიად ლეგიტიმურად დაამტკიცებს მომავალ მთავრობას; ამასთან, ბოლო ოთხი წლის მანძილზე იგივე პოლიტიკური ჯგუფის მიერ ექვსი წლის ვადით შეირჩა და დაინიშნა მთავარი პროკურორი და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი. ასევე, იუსტიციის საბჭოს ფორმირების პროცესში სერიოზული გავლენა ისევ „ქართული ოცნების“ ხელშია.

**— შესაბამისად, როგორც ამ ქვეყანაში დემოკრატიის გარანტი, გიდასტურებთ, რომ დემოკრატიულ პროცესს განსაკუთრებული ყურადღება და გაფრთხილება სჭირდება. შეგახსენებთ მარტივ ჭეშმარიტებას — ხელისუფლების ჭარბი კონცენტრაცია საშიშია ყოველგვარი ბოროტი განზრახვის გარეშეც კი,** — განაცხადა პრეზიდენტმა.

# შევიმუშაოთ ეროვნული უშიშროების ერთიანი სტრატეგია!

**საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი გლობალური პოლიტიკური კონტექსტიდან, ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევებიდან და შავი ზღვის რეგიონში შეცვლილი უსაფრთხოების გარემოდან გამომდინარე, საჭიროდ მიიჩნევს შემუშავდეს ეროვნული უშიშროების ერთიანი სტრატეგია.**

როგორც გიორგი მარგველაშვილმა გუშინ პარლამენტის სხდომის გახსნისას განაცხადა, ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფა კომპლექსური საკითხია, რისთვისაც აუცილებელია ხელისუფლების ყველა შტოს ჩართულობა და ერთიანი სტრატეგიის ჩამოყალიბება.

**— ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების პასუხად, მიმაჩნია, რომ უნდა განახლდეს ქვეყნის უშიშროების პოლიტიკის განმსაზღვრელი ეროვნული და უწყებრივი სტრატეგიული დოკუმენტები და მათზე დაყრდნობით, სამოქალაქო საზოგადოების, ქვეყნის უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების ჩართულობით, შემუშავდეს ეროვნული უშიშროების ერთიანი სტრატეგია,** — აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა.



# მთავრობის წევრები ასრულებენ მთავრობის წევრების მოვალეობას

**პრეზიდენტმა** გამოსცა განკარგულება, რომლის მიხედვითაც მთავრობის წევრები ასრულებენ მთავრობის წევრების მოვალეობას, — ამის შესახებ ჟურნალისტებს პრეზიდენტის მრჩეველმა ანა დოლიძემ განუცხადა.

მისივე განმარტებით, იქიდან გამომდინარე, რომ მოხდა ახალარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობა, კანონმდებლობის შესაბამისად, მთავრობას ავტომატურად შეუწყდა უფლებამოსილება.

**„გარდამავალ პერიოდში, სანამ მოხდება ახალი მთავრობის დაკომპლექტება, საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება, რომლის მიხედვითაც, ჩვენი მთავრობის წევრები ასრულებენ მთავრობის წევრების მოვალეობას.**

**როდესაც მოხდება ახალი პრემიერის წარმოდგენა და ახალი მთავრობის დაკომპლექტება, რა თქმა უნდა, აღარ გვეყოლებიან მოვალეობის შემსრულებელნი და გვეყოლებიან მთავრობის წევრები“,** — განმარტა დოლიძემ.

კანონმდებლობით, ახალარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობისთანავე, მთავრობას უფლებამოსილება უწყდება. ძველ მთავრობას ახლის არჩევამდე დროებით მოვალეობის შესრულება ეკისრება, რაზეც შესაბამის სამართლებრივ აქტს პრეზიდენტი გამოსცემს. ახალი მთავრობის ფორმირებასთან დაკავშირებული პროცედურები პარლამენტში მომავალი კვირიდან დაიწყება.

# ახალ პარლამენტში 5 ფრაქცია დარეგისტრირდა

საქართველოს მეცხრე მოწვევის პარლამენტში 5 ფრაქცია დარეგისტრირდა. 116 წევრისგან შეიქმნა უმრავლესობა, რომლის ლიდერი არის არჩილ თალაკვაძე, 26 წევრის შემადგენლობით დარეგისტრირდა უმცირესობა.

**ფრაქცია „ქართული ოცნება“ 110 წევრისგან შედგება. მისი თავმჯდომარეა მამუკა მდინარაძე, მდივანი კი — ნინო წილოსანი. ამავდროულად, შეიქმნა ფრაქცია „ქართული ოცნება — მრეწველები“, რომელშიც პარლამენტის 6 წევრი შედის, მისი თავმჯდომარეა სიმონ ნოზაძე, მდივანი ელგუჯა გოცირიძეა. პარლამენტში ასევე დარეგისტრირდა ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“ , რომლის შემადგენლობაში არის პარლამენტის 20 წევრი, მისი თავმჯდომარეა ნიკანორ მელია. ამავდროულად, დარეგისტრირდა ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა — საქართველოს წინსვლისათვის“, იგი შედგება 6 წევრისგან, თავმჯდომარეა ელენე ხოშტარია.**

საქართველოს მეცხრე მოწვევის პარლამენტში ასევე დარეგისტრირდა ფრაქცია „საქართველოს პატრიოტები“, რომელიც შედგება 6 წევრისგან, მისი თავმჯომარეა გიორგი ლომია და მდივანი — გელა მიქაძე.

# პარლამენტმა 150-ვე ახალარჩეული წევრის უფლებამოსილება ცნო

**მე-9 მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილება ცნობილია. დროებითი სამანდატო კომისიის მიერ მომზადებული დადგენილების პროექტი პარლამენტმა 146 ხმით მიიღო.**

პარლამენტმა 150-ვე ახალარჩეული წევრის უფლებამოსილება ცნო. კენჭისყრამდე მათი გვარები დროებითი სამანდატო კომისიის ხელმძღვანელმა გიორგი კახიანმა წაიკითხა. მათ შორის ცნობილია გიორგი კვირიკაშვილისა და სანდრა რულოვსის სადეპუტატო უფლებამოსილებაც. ამის შემდეგ ახალარჩეულმა დეპუტატებმა ფიცი დადეს.

მე-9 მოწვევის პარლამენტი შემდეგი კონფიგურაციით იქნება წარმოდგენილი: — **„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ შემადგენლობაშია 115 დეპუტატი. 27 დეპუტატით არის წარმოდენილი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. პარლამენტში 6 დეპუტატისგან შედგება „პატრიოტთა ალიანსის“ გაერთიანება. „თოფაძე -მრეწველები“ წარმოდგენილია ერთი მაჟორიტარი დეპუტატით და კიდევ ერთი, საინიციატივო ჯგუფის სახელით არჩეული სალომე ზურაბიშვილია.**

# უშიშროების საბჭო უნდა იყოს იქ, სადაც არის რეალური ძალაუფლება!

**პრეზიდენტის ინიციატივას, ეროვნული უშიშროების ერთიანი სტრატეგიის შესახებ, შეფასებები უკვე მოჰყვა ახალ საკანონმდებლო ორგანოში.**

პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი სალომე ზურაბიშვილი ამბობს, რომ, პირველ რიგში, უნდა გადაწყდეს უშიშროების საბჭოს საკითხი, ვინაიდან, მისი თქმით, ქვეყანაში მოქმედებს ორი უშიშროების საბჭო, რაც დაუშვებელია. რაც შეეხება საფრთხეებს, ზურაბიშვილის შეფასებით, ჩვენი სტრატეგია მხოლოდ რუსეთზეა ფოკუსირებული.



# პრემიერ-მინისტრი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს შეხვდა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს ზაზა თავაძეს შეხვდა.**

გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე პრემიერმა ზაზა თავაძეს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ არჩევა მიულოცა და წარმატებული საქმიანობა უსურვა.

მხარეებმა კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი სასამართლოს დამოუკიდებელი და ეფექტური ფუნქციონირების მნიშვნელობას, ასევე — მიმოიხილეს სასამართლოს საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით განსახორციელებელი სხვადასხვა ღონისძიებები.

შეხვედრისას საუბარი შეეხო სასამართლოში წარდგენილი სარჩელების რაოდენობის ზრდას და დაიგეგმა გარკვეული მატერიალურ-ტექნიკური ხასიათის აქტივობები, მათ შორის, მომხსენებელი მოსამართლის ავტომატური, ელექტრონული წესით შერჩევის სისტემის დანერგვა; ასევე — საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატის მუშაობის ეფექტურობის ზრდასთან დაკავშირებული საკითხები, რაც სასამართლოს ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური ფუნქციის სრულფასოვნად შესრულებაში დაეხმარება.

მხარეებმა ასევე განიხილეს ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების კონგრესის სამზადისთან დაკავშირებული საკითხები, რომლის გამართვა 2017 წლის ივნისში ბათუმში იგეგმება. პრემიერ-მინისტრისა და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის შეხვედრა ქუთაისში, პარლამენტის შენობაში გაიმართა.

# გიორგი კვირიკაშვილი: პრეზიდენტი ამ პროცესში იქნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა, მაგრამ საკონსტიტუციო ცვლილებების მომზადების ადგილი არის პარლამენტი

პრემიერ-მინისტრობის მოვალეობის შემსრულებელი თვლის, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების მომზადება არ არის პირველი რიგის ამოცანა და საკონსტიტუციო ცვლილებების მომზადების ადგილი არის საქართველოს პარლამენტი. ეს განცხადება გიორგი კვირიკაშვილმა საქართველოს პრეზიდენტის გუშინდელ გამოსვლაზე კომენტირებისას გააკეთა:

**„ეს არის, ალბათ, დაახლოებით ერთწლიანი პროცესი, რომელშიც მაქსიმალური ჩართულობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი. ბუნებრივია, რომ პრეზიდენტიც, ალბათ, ამ პროცესში იქნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა. მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების მომზადების ადგილი არის საქართველოს პარლამენტი, რომელსაც გააჩნია საკანონმდებლო, მათ შორის, საკონსტიტუციო ინიციატივის უფლება. მე არ მინდა, შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ რაღაც დაპირისპირება ხდება. არავითარ შემთხვევაში. ჩვენ შევეცდებით მაქსიმალურად, კონსტრუქციულად გავაგრძელოთ ის დიალოგი, რომელიც პრეზიდენტთან გვაქვს დღემდე და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ქვეყნისთვის საუკეთესო გადაწყვეტილებებს მივიღებთ“,** — განაცხადა კვირიკაშვილმა.

**რეპლიკა**

# მომჭირნეობა გაჭირვებულების ხარჯზე?

ტელესივრცე შემოირბინა ცნობამ იმის შესახებ, რომ მერიას ბიუჯეტის შევსება სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის შემწეობის შეკვეცით გადაუწყვეტია. კერძოდ, თუ უწინ ამ კატეგორიის მოქალაქეს შემწეობის სახით, შემოდგომა-ზამთრის პერიოდში თვიურად 106 ლარი ეძლეოდა, რომელსაც ბენეფიციარი თავად გადაანაწილებდა ელექტროენერგიის, წყლისა და გაზის გადასახადებზე, ამჟამად მას ფული არ ეძლევა — მერია თავად უქვითავს ელექტროენერგიისა და წყლის გადასახადს, მაგრამ ეს ეგრეთწოდებული „ვაუჩერი“ გაზის დანახარჯზე არ ვრცელდება. არადა, სწორედ ზამთარში მოიხმარს ადამიანი გაცილებით მეტ გაზს. მაგალითად, თუ ზაფხულში ოჯახს ვთქვათ, თვეში 3-4 ლარის გაზი ჰყოფნის, ზამთარში შეიძლება, 40-50 ლარის გაზი არ ეყოს. მოგეხსენებათ, ძირითადი დანახარჯი გათბობაზე მოდის. ჰოდა, მერია ამ სხვა მხრივადაც დაუცველ ადამიანს ეუბნება: მე შუქს აგინთებ, ხოლო შენი გათბობის თავი არა მაქვს, გინდ გამთბარხარ, გინდ გაყინულხარო.



პატივცემულო „ქალაქის მამებო“, რატომ არ შეიძლებოდა, სოციალურად დაუცველი ადამიანი როგორმე ყინვისგანაც დაგეცვათ? მომჭირნეობა კარგია, მაგრამ გაჭირვებულების ხარჯზე?

**მზია გელენავა**

# მოუთმენლად ველოდებით თანამშრომლობას ახალ პარლამენტსა და მთავრობასთან...

განაცხადა საქართველოში აშშ-ის ელჩმა იან კელიმ ჟურნალისტებთან მეცხრე მოწვევის პარლამენტის პირველი სხდომის გახსნაზე. მისი თქმით, დიდი პატივია იქ ყოფნა.

**„ძალიან დიდი დღეა, რა თქმა უნდა, რადგან პარლამენტის შეკრების პირველი დღეა. ჩვენ სულმოუთქმელად ველოდებით ახალ პარლამენტთან და მთავრობასთან თანამშრომლობას. ჩვენ ისედაც გვაქვს საკმაოდ ღრმა თანამშრომლობა და მზად ვართ, გავაგრძელოთ ეს თანამშრომლობა“...**






# საქართველოს ბანკი ქალი მეწარმეების სტარტაპ ბიზნესის დაფინანსებას იწყებს

საქართველოს ბანკმა, საქართველოს წამყვანმა ბანკმა, განაცხადა სრულიად ახალი პროდუქტის „ქალი სტარტაპერის“ დანერგვის შესახებ. აღნიშნული პროგრამა საქართველოს ბანკსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა. პროგრამის ფარგლებში, საქართველოში პირველად, საქართველოს ბანკი ქალი მეწარმეების სტარტაპ ბიზნესს დააფინანსებს. ეს არის ქალი მეწარმეებისთვის რეალური შანსი, თავიანთი ბიზნეს იდეა რეალობად აქციონ და ისარგებლონ საქართველოს ბანკის „ქალი სტარტაპერის“ ბიზნესსესხით. დაფინანსებით სარგებლობა შეუძლია მას, ვისაც აქვს საინტერესო ბიზნესიდეა, სესხის მოცულობა 10 000 ლარიდან განისაზღვრება და არ მოითხოვება სავალდებულო თანამონაწილეობა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ბანკი პროგრამის ფარგლებში, მომხმარებელს საშუალებას აძლევს, სრულიად უფასოდ ჩაერთოს „საქართველოს ბანკის უნივერსიტეტის“ ტრენინგში — „როგორ დავიწყო ბიზნესი?“, — აღნიშნული ტრენინგი ყველა მათგანს, ბიზნესიდეის წარმატებით განხორციელებაში მნიშვნელოვან უნარებს და ცოდნას შესძენს. ამასთან, იმ ბიზნესიდეის ავტორი, რომელიც დაფინანსდება, ერთი წლის განმავლობაში სრულიად უფასოდ ისარგებლებს საქართველოს ბანკის საოპერაციო პროდუქტებით.

# ტრამპის გამარჯვებით იმედგაცრუებული ევროპა უსაფრთხოების ახალ გეგმაზე მუშაობს

ევროპის ერთიანი შეიარაღებული ძალების შექმნის საკითხი დღის წესრიგში კიდევ ერთხელ რომ დადგებოდა, ევროკომისიის თავმჯდომარე ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ პროგნოზირებდა. მთავარ არგუმენტად მას ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატის დონალდ ტრამპის ნატოსთან დამოკიდებულება მოჰყავდა. წინასაარჩევნო კამპანიისას ამერიკის მომავალმა პრეზიდენტმა არაერთგზის განაცხადა, რომ ნატოს წევრობა შეერთებულ შტატებს ძალიან ძვირი უჯდება და რომ ევროპამ საკუთარი უსაფრთხოებისთვის მეტი უნდა გაიღოს. იუნკერი ევროპული არმიის შექმნის პერსპექტივას ასე აფასებდა:



**ევროპის თავდაცვითი კავშირის შექმნის საკითხს ჩვენ მეტი სერიოზულობით უნდა მივუდგეთ. ვფიქრობ, ევროპული არმიის შექმნა გარდაუვალია. ეს ის მუსიკაა, რომელიც უკვე ჟღერს, თუმცა, სამწუხაროდ, ის ევროპაში ჯერ არ ესმით.**

**ცუდ მსმენელებს შორის იყვნენ გერმანია, საფრანგეთი და ბრიტანეთი, რომლებიც ევროპის ახალი სამხედრო სტრუქტურის შექმნის ინიციატივას მხარს არ უჭერდნენ. მთავარი მიზეზი კი ის იყო, რომ ევროკავშირის ბიუჯეტს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შექმნა, სულ მცირე, 4 მილიარდი დაუჯდებოდა.**

**შემდეგ იყო ბრექსიტი. მას შემდეგ, რაც ბრიტანეთის მოსახლეობამ ევროკავშირიდან ქვეყნის გასვლას დაუჭირა მხარი, ევროპის თავდაცვის გაძლიერების საკითხი დღის წესრიგში კიდევ ერთხელ დადგა. გერმანიის კანცლერმა და საფრანგეთის პრეზიდენტმა თავდაცვის უწყებებს კონკრეტული გეგმის შემუშავება დაავალეს, ბრატისლავას სამიტზე კი ევროკავშირის წევრი ქვეყნები მომავალი წლის ივნისამდე ახალი თავდაცვითი სტრატეგიის შემუშავებაზე შეთანხმდნენ.**

**ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში დონალდ ტრამპის გამარჯვებამ მოვლენები კიდევ უფრო დააჩქარა. ბრიუსელში ევროკავშირის თავდაცვის მინისტრები უსაფრთხოებისა და თავდაცვის ახალ გეგმაზე შეთანხმდნენ, თუმცა როგორც ევროკავშირის საგარეო საქმეთა კოორდინატორი აცხადებს, ერთიანი არმიის შექმნაზე საუბარი არ არის.**

**საუბარი არ არის ევროპის არმიის შექმნაზე. ჩვენს გეგმებში არც ერთიანი შტაბის შექმნა შედის და არც ტერიტორიული თავდაცვა. ეს ნატოს ფუნქციაა. ჩვენ ვართ მოკავშირეები და თავდაცვის სფეროში განსაზღვრული ვალდებულებები გვაქვს, — ამბობს ფედერიკა მოგერინი.**

**ის, რომ ევროკავშირი ნატოს საპირწონე ახალი სამხედრო ორგანიზაციის შექმნას არ აპირებს, მინისტერიალის მონაწილეებმაც დაადასტურეს. ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრის მაიკლ ფელონის თქმით, ნაცვლად იმისა, რომ ევროპულ არმიაზე იოცნებოს, ევროკავშირმა ნატოს დაფინანსება უნდა გაზარდოს, რასაც ბრიტანეთი უკვე დიდი ხანია, აკეთებს.**

**ახალი თავდაცვითი გეგმა სამ ძირითად პრიორიტეტზეა ორიენტირებული, კერძოდ კი იმაზე, რომ ევროკავშირმა შეძლოს კრიზისულ სიტუაციებზე უფრო სწრაფი და გაბედული რეაგირება. ის ასევე ითვალისწინებს ევროკავშირის პარტნიორების უსაფრთხოებისა და თავდაცვის შესაძლებლობების გაუმჯობესებას და ევროკავშირის შესაძლებლობების გაძლიერებას, დაიცვას ევროპის მოქალაქეები.**

**ნატოს ლიდერი ქვეყნის პრეზიდენტად ალიანსის წინააღმდეგ განწყობილი კანდიდატის არჩევამ ევროკავშირი საფუძვლიანად შეაშფოთა, თუმცა ერთიანი არმიის შექმნის იდეა ჯერჯერობით იდეადვე დარჩება. როგორც ცნობილი დიპლომატი, ამერიკაში ბრიტანეთის ელჩი კრისტოფ მაიერი აცხადებს, „ევროკავშირს საკუთარი ჯარი მაშინ ეყოლება, თუ გოჭები ფრენას დაიწყებენ.“**

**არის წინადადება!**

# ნაცებო, პრეზიდენტი მარგველაშვილი აირჩიეთ თავმჯდომარედ!

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა მრავალგზის გამოხატა თავისი სიმპათიები ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, განსაკუთრებით ამ პარტიის იდეოლოგიური ცენტრის, ყოველივე ანტიეროვნულის მედროშის „რუსთავი 2“-ის მიმართ. თავისი ასეთი დამოკიდებულება ბატონმა პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა გუშინ, 18 ნოემბერს, საქართველოს IX მოწვევის პარლამენტის გახსნისას. ამან მიკარნახა რაციონალიზატორული წინადადება შევთავაზო ნაცებს: პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ერთხმად აირჩიეთ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარედ. ეს თქვენც წაგადგებათ და მასაც, უბრალოდ, აღარ მოუხდება ბუჩქებში მიმალვა...

**ლონდა მდივანი**

# პარლამენტი, მარიხუანა და მიხეილ სააკაშვილი

## „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობის მიღებით წარუმატებლობაზე თავის მართლების შესაძლებლობა დაკარგა

**სტატია ეხება საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. მასში მიმოხილულია ის ფაქტები, რომლებიც უკვე მოხდა გასულ კვირაში და ის მოვლენები, რომლებიც ახლა იწყება, დიდმნიშვნელოვანია და პერსპექტივაშიც გაგრძელდება (ავტორი — იური როქსი).**

პუბლიკაციაში ყურადღება ეთმობა საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტის მუშაობის დაწყებას ქუთაისში: დღის წესრიგს, სხვადასხვა თანამდებობებზე დეპუტატების არჩევას, უმრავლესობისა და უმცირესობის ფრაქციების ჩამოყალიბებას და ა.შ. „არაა გამორიცხული, რომ ქუთაისში პარლამენტის მუშაობის პირველი დღე ერთ-ერთი უკანასკნელი გამოდგეს, რადგანაც დეპუტატებს მრავალჯერ გამოუთქვამთ უკმაყოფილება იმის გამო, რომ დედაქალაქიდან 200 კმ-ის დაშორებით დადიან სხდომებზე, არაეფექტურად იხარჯება თანხები... კიდევ ერთი მიზეზი ისაა, რომ მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებით ქუთაისში აგებული პარლამენტის შენობა უფრო ნაკლებად მიესადაგება მოთხოვნებს და უფრო უარესია, ვიდრე თბილისში არსებული, რომლის რესტავრაცია უკვე დასრულებულია და დეპუტატებს ელოდება.

დიახ, თბილისში პარლამენტის დაბრუნება ბევრს სურს, მაგრამ ეს საკითხი საკმაოდ პრობლემატურია: **ქუთაისი, როგორც პარლამენტის ადგილსამყოფელი, კონსტიტუციით არის განსაზღვრული და მისი თბილისში დაბრუნებისათვის ქვეყნის ძირითადი კანონის შეცვლაა აუცილებელი. წინა პარლამენტში მაშინდელი უმრავლესობა, „ქართული ოცნების“ სახით, ბევრს ეცადა, რომ ეს საკითხი გადაეჭრა, მაგრამ უშედეგოდ — დეპუტატთა აუცილებელი რაოდენობის ხმები ვერ მოაგროვა. ახლა უკვე სხვა სიტუაციაა — „ქართულ ოცნებას“ კონსტიტუციური უმრავლესობა აქვს და თავისუფლად შეუძლია ქვეყნის მთავარ კანონში ცვლილება შეიტანოს“,** — ნათქვამია სტატიაში.

როგორც პუბლიკაციაშია აღნიშნული, საკონსტიტუციო უმრავლესობის მიუხედავად, „ქართულ ოცნებას“ წინ საკმაოდ რთული პერიოდი ელოდება. თუ ადრე „მეოცნებეები“ თავიანთ წარუმატებლობას „ნაციონალებს“ აბრალებდნენ, ახლა იძულებული გახდებიან, მეტი პასუხისმგებლობა გამოიჩინონ. გარდა ამისა, „ქართულ ოცნებას“ მოუწევს ყურადღება მიაქციოს პარლამენტს გარეთ დარჩენილი პარტიების, მაგალითად, „გირჩის“ (ყოფილი „ნაციონალების“) პრეტენზიებსაც, რომელიც მარიხუანის ლეგალიზებას ეხება. ავტორი ვრცლად მიმოიხილავს ამ საკითხს: „ისარგებლა რა ახალგაზრდობის მცირე ჯგუფის საპროტესტო განწყობით, ყოფილმა „ნაციონალებმა“ განაცხადეს, რომ თუ პარლამენტი მარიხუანის ლეგალიზებას არ მოახდენს, ისინი ყველა შესაძლებელ ადგილზე ამ მცენარეს დარგავენ. საკვირველი ისაა, რომ ქართველი საზოგადოება ამ განცხადებას შესამჩნევი ენთუზიაზმით შეხვდა: გარედან რომ დააკვირდე, ისე ჩანს, რომ მთელ საქართველოს მხოლოდ მარიხუანის საკითხი აინტერესებს და ამას ითხოვს — ისინიც, ვინც ამ ნარკოტიკით აქტიურად სარგებლობს, ვინც მხოლოდ გასინჯა, ვისაც მხოლოდ კანაფის ბუჩქი უნახავს და ისინიც, ვინც კანაფს მოცხარისაგან ვერ არჩევენ. ამ საკითხის განხილვა საზოგადოებაში ისე ინტენსიურად მიმდინარეობს, რომ ალბათ, მარიხუანას თემას პარლამენტის ერთ-ერთი უახლოესი სხდომა მიეძღვნება.

**„მაგრამ ხელისუფლებისათვის ყველაზე მთავარ საფრთხედ მაინც მიხეილ სააკაშვილი აღიქმება: ძალიან იშვიათია ის დღე, რომ ქართულ ტელეკრანებზე მიხო არ გამოჩნდეს, რომელიც უკრაინაში უმუშევრადაა დარჩენილი. ყოფილი პრეზიდენტი აგრესიულია თანაპარტიელების მიმართ და ისე ჩანს, რომ განხეთქილებას კიდევ უფრო ამწვავებს. მიხო მკაცრად აკრიტიკებს „ნაცმოძრაობის“ იმ წევრებს, რომლებიც არ დაემორჩილნენ მის მოთხოვნას ბოიკოტის თაობაზე და პარლამენტში მუშაობა გადაწყვიტეს. ბოლო ტელეგამოსვლის დროს მიხეილ სააკაშვილმა თავის მომხრეებს ფაქტიურად მოუწოდა ისეთივე გადამწყვეტი მოქმედებისაკენ, როგორც ეს მათ 2003 წელს, „ვარდების რევოლუციის“ დროს განახორციელეს. წარსულის გახსენებისას მიხომ იმდროინდელი მოვლენები ისეთი ინტერპრეტაციით წარმოადგინა, რომ თვით აშშ-ის საელჩო გახდა იძულებული, შეესწორებინა მისთვის და განეცხადებინა, რომ მიხო ტყუილებს ამბობდა.**

მიხეილ სააკაშვილის მოწოდებებს ნეგატიურად აფასებენ მისი ყოფილი თანამოაზრეები, მაგალითად, გიორგი ვაშაძე, რომელიც დღეს პარტია „ახალი საქართველოს“ ლიდერია. მისი თქმით, მიხეილ სააკაშვილმა თავისი მოქმედებით „ერთიანი ნაცმოძრაობა“ ჩიხში შეიყვანა, ხელს უშლიდა პარტიის განახლებას და ახლა საქმე განხეთქილებამდე მიიყვანა. სხვები სიტუაციას უფრო მკვეთრ შეფასებას აძლევენ: „ყოფილი პრეზიდენტი რეალობას იმდენად მოწყდა, რომ სიტუაციას ობიექტურად ველარ აღიქვამს — ჰგონია, რომ მისი საქართველოში დაბრუნების წინააღმდეგი მხოლოდ ოლიგარქი ბიძინა ივანიშვილია, ხალხი კი გულისფანცქალით ელოდება და მზადაა, როგორც კი მიხეილ სააკაშვილი თბილისში ჩამოვა, ყველა ხელში აიტაცებს და ისე მიიყვანს პრეზიდენტის სასახლეშიო.

**მაგრამ არის მესამე ჯგუფი, რომელიც თვლის, რომ მიხეილ სააკაშვილის გამოსვლები სპეციალურადაა მოფიქრებული და შემუშავებული: იგი დღეს უმუშევრადაა დარჩენილი. გარდა ამისა, მოარული ხმების თანახმად, მიხოს შეიძლება უკრაინის მოქალაქეობაც ჩამოართვან — იგი ოფიციალურ კიევს უკვე ისე აქვს ყელში ძვალივით გაჩხერილი, რომ იქ ფიქრი დაიწყეს — იქნებ ჯობდეს მისი ექსტრადირება მოვახდინოთ და საქართველოს გადავცეთო. არადა, აშკარაა ისიც, რომ თავისი აქტიურობითა და „ვარდების რევოლუციის“ გახსენებით მიხეილ სააკაშვილი ოკეანისიქითა მეგობრებს საკუთარ თავსაც ახსენებს — მძიმე სიტუაციაში ვარ, მომხედეთ, თორემ თქვენზე რაღაც-რაღაცების თქმა შემიძლიაო.**

„ვარდების რევოლუციის“ ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა „ღირსების რევოლუციის“ სპონსორი, პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო ბანდიტიზმში დაადანაშაულა. მიხოს თქმით, რადგანაც იგი უკრაინაში პოპულარულობით პეტროს უსწრებს, პეტრომ გადაწყვიტა ყოფილი მეგობარი თავიდან მოიშოროს და მოქალაქეობის ჩამორთმევას უპირებს.

„Независимая Газета“ (რუსეთი),
18 ნოემბერი, 2016 წელი

# თბილისში პარკირების გადასახადი გაიზრდება?!

**თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ მალაღურაძე ქალაქში პარკირების გადასახადის გაზრდის ინიციატივით გამოდის.**

**საკრებულოს კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე, სადაც 2017 წლის ბიუჯეტს განიხილავენ, მალაღურაძემ განაცხადა, რომ ქალაქის ცენტრალურ უბნებში პარკირების გადასახადი საათობრივ სისტემაზე უნდა გადავიდეს. მისივე თქმით, ქალაქის მთავრობა მოსაკრებლებთან დაკავშირებით მოკრძალებულია, ამიტომ მერიის ტრანსპორტის სამსახურს პარკირების წლიური გადასახადის გაზრდის მოთხოვნით მიმართავს.**



# 20-23 ნოემბერს დასავლეთ საქართველოში ძლიერი ქარია მოსალოდნელი

**სინოპტიკოსები 20-23 ნოემბერს დასავლეთ საქართველოში ძლიერ ქარს ვარაუდობენ. გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 20 -დან 23 ნოემბრამდე აღმოსავლეთ საქართველოში ჰაერის ტემპერატურა მნიშვნელოვნად დაეცემა.**

**მოსალოდნელია თოვა, მაღალმთიან რაიონებში ზოგან ქარბუქი. შავი ზღვის სანაპირო რაიონებში, კოლხეთის დაბლობზე, ზემო იმერეთსა და გორი-სურამის მონაკვეთზე იქროლებს აღმოსავლეთის მიმართულების ძლიერი, დროგამოშვებით ძალიან ძლიერი ქარი.**

# რუსეთი საერთაშორისო სასამართლოს ფეხებზე იკიდებს!

**ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, როგორც ჩანს, დისკომფორტის შემქმნელი აღმოჩნდა რუსეთისთვის, ამიტომ პრეზიდენტ პუტინის ბრძანებულების შესაბამისად, მისი ქვეყანა საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდებიდან გავიდა. ამ ქმედებას წინ უსწრებდა ჰააგის სისხლის სამართლის პროკურორის ფატუ ბენსუდას ანგარიში უკრაინის თაობაზე, რომელშიც საუბარია რუსეთის ძალისმიერ, შეიარაღებულ ქმედებებზე უკრაინაში: ყირიმის ანექსიაზე, ვითარებაზე დონბასსა და ლუგანსკში.**

გარდა უკრაინის საკითხისა, ფატუ ბენსუდა საქართველო-რუსეთის 2008 წლის ომის და შემდგომი პერიოდის სამხედრო დანაშაულსაც იძიებს, რომლის ფარგლებში ის აქტიურად თანამშრომლობს ქართულ მხარესთან. საერთაშორისო პროკურორის ოფისი, გამოძიების სრულყოფილი ჩატარების მიზნით, თანამშრომლობდა რუსეთის ფედერაციასთანაც. სამხრეთ ოსეთმა კი ღიად დააფიქსირა იმის თაობაზე, რომ ბენსუდას წარმომადგენლებს აღნიშნულ ტერიტორიაზე მუშაობის საშუალება მიეცემოდათ.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის გადაწყვეტილების შემდეგ, რომლის თანახმად, მოსკოვი საერთოდ უარს ამბობს ჰააგასთან თანამშრომლობაზე, რა შეიძლება შეიცვალოს საქართველოსთვის, როგორც ომის დანაშაულისა და ეთნოწმენდის ფაქტების დადგენაში დაინტერესებული მხარისთვის? ამის შესახებ „ამერიკის ხმამ“ რამდენიმე მოსაზრება ჩაწერა.

ჩვენთან საუბრისას საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) ხელმძღვანელი ანა ნაცვლიშვილი ამბობს: **„აგვისტოს ომის დროს ჩადენილი დანაშაულები ჩადენილია საქართველოს ტერიტორიაზე და ვინაიდან საქართველო არის წევრი სახელმწიფო, სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება. რუსეთის განცხადება არის უფრო პოლიტიკური მესიჯის შემცველი. თავიდან, როდესაც პროკურორმა გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ ის იწყებდა გამოძიებას, რუსეთის მხრიდან იყო თითქოს ღიაობა და მზაობა იმისთვის, რომ ეთანამშრომლა სასამართლოსთან. თუმცა მე, მაინცდამაინც მაღალი რწმენა იმისა, რომ რუსეთი კეთილსინდისიერად ითანამშრომლებდა პროკურორთან, არ მქონდა“.**

„ამერიკის ხმა“ GFSIS-ის მკვლევარს შოთა უტიაშვილს ესაუბრა, რომელიც წლების განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკურ დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა: **„იმ შემთხვევაში, სასამართლომ თავის წევრ ქვეყანას თუ დაავალა, გადმოსცენ პიროვნება, რომელიც ბრალდებულია დანაშაულში, ქვეყანა ვალდებულია ეს გააკეთოს, თუ არის სასამართლოს წევრი. არაწევრს ასეთი ვალდებულება არ ეკისრება. 2008 წლის ომის თაობაზე რამდენიმე ასპექტს განიხილავს პროკურორი. ერთ-ერთი ყველაზე აშკარა შემადგენელია აქ ეთნიკური წმენდის შემთხვევა, რისი უამრავი მტკიცებულებაც არსებობს. დღესაც რომ ჩავიდეს იქ ადამიანი და დაათვალიეროს ლიახვის ხეობის სოფლები, სადაც ქართველები ცხოვრობდნენ, ძალიან ნათლად შესამჩნევია, რომ ეთნიკურ წმენდას ჰქონდა ადგილი. რუსეთს ძალიან გაუჭირდება, თავი აარიდოს უხერხულ ვითარებას. მისი განცხადება იმის თაობაზე, რომ ქონების განადგურების შემთხვევებს ადგილი ჰქონდა მის მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიაზე, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს“.“**




„ქართული ოცნების“ წარმომადგენელი ირაკლი სესიაშვილი ჩვენთან საუბრისას ამბობს: **„პრაქტიკული თვალსაზრისით, ჩვენთვის, რუსეთის მიერ ჰააგის სამართლებრივი სივრციდან გასვლით არაფერი იცვლება, თუმცა ფორმალურად რუსეთი ამის დემონსტრირებას მაინც ახდენს, რაც, ალბათ, უფრო პოლიტიკური მესიჯია, ვიდრე პრაქტიკული საჭიროებიდან გამომდინარე ნაბიჯი“.**

როგორც საია-ს ხელმძღვანელი განმარტავს, იმ შემთხვევაში, თუ ჰააგის საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო დაადგენს რუსეთის სამხედრო პირების ბრალეულობის საკითხს, მათი დაკავება და სასამართლოსთვის გადაცემა რუსეთის ტერიტორიაზე გართულდება, რადგან რუსეთი არაა ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს ხელშემკვრელი ქვეყანა, თუმცა თუ ეს მოქალაქე ქვეყნის საზღვრებს გადალახავს და აღმოჩნდება საერთაშორისო სასამართლოს მიერთებული რომელიმე ქვეყნის ტერიტორიაზე, მას დააკავებენ.

რა გავლენა შეიძლება იქონიოს ვლადიმირ პუტინის ბრძანებამ საქართველოს საკითხზე ჰააგაში, ეს პრაქტიკული ქმედებებიდან უფრო გამოჩნდება, თუმცა ცხადია, რომ ეს გამოძიების გაგრძელებას ხელს ვერ შეუშლის. კიდევ ერთი საკითხი, რაზეც ყველა თანხმდება ისაა, რომ ეს რუსეთის მხრიდან გაგზავნილი ცალსახა პოლიტიკური მესიჯია იმის დემონსტრირებისთვის, რომ იგი საერთაშორისო სამართლის ნორმებს არ ცნობს.

**ნინო დალაქიშვილი.**
რადიო „ამერიკის ხმა“ (აშშ),
16 ნოემბერი, 2016 წელი.

მოგვაწოდა
**სიმონ კილაძემ.**

# დემოკრატიის ზნელი შუქურა, ანუ სააკოვის პორტრეტი პლუტარქოსის „მორალიების“ მიხედვით

**ანტიკური ეპოქის ბერძენი მწერლის პლუტარქოსის (ახ.წ. I-II საუკუნეების მიჯნა) განთქმულ „მორალიებში“ ასახული ზნეობრივი კატეგორიები და მორალისტური ფილოსოფიები დღესაც აქტუალურია და ასე იქნება მომავალშიც. მისი „აპოთეგმები“ ესადაგება დღევანდელობას და ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ ყოველი სიახლე, დავიწყებული სიძველეა. გამომდინარე აქედან, შევეცადე, „აპოთეგმების“ პარალელებით დამეხატა საქართველოს დამაქცევარი მიხეილ სააკაშვილის შავბნელი პორტრეტი.**

პლუტარქოსის „მორალიების“ უცნობ სპარტელ კაცთა აპოთეგმებში ვკითხულობთ: „როდესაც პინადროსმა დაწერა „ათენი ელადის ბურჯია“, სპარტელმა თქვა: „მაშინ ელადა დაღუპულა ასეთი ბურჯით!“

როდესაც საქართველოს გამყიდველ მიხეილ სააკაშვილს მისმა ევროპელმა და ამერიკელმა ლობისტებმა „დემოკრატიის შუქურა“ უწოდეს, ვთქვი, „მაშინ დემოკრატია დაღუპულა ასეთი შუქურით.“

„მორალიებში“ ვკითხულობთ: „ოდესღაც დემარატოსისათვის უკითხავთ: „რამ გაიძულა შენ, მეფე, სპარტიდან გამოქცეულიყავი?“ „კანონებმა — უთქვამს მას, — რომლებიც სპარტაში უფრო ძლიერია, ვიდრე მეფე.“

ერთმა ჩემმა უკრაინელმა კოლეგამ მკითხა: „რამ აიძულა პრეზიდენტყოფილი სააკაშვილი საქართველოდან გამოპარულიყო?“ მე ვუპასუხე: „კანონებმა“-მეთქი, რომ არა ეს მისი გაპარვა, ახლა იგი მატროსოვში იქნებოდა ხელბორკილებით.

ციტატა: „როდესაც მისი თანდასწრებით ვიღაც კაცი ათენს აქებდა, მან თქვა: „როგორ შეიძლება ხოტბა შეასხა იმ ქალაქს, არც ერთ კეთილშობილ კაცს რომ არ უყვარს.“

როგორც ერთი სოკოცუანა „ცრუსთავის“ ფულოსოფოსი სააკაშვილს აქებდა, მე ვთქვი: „როგორ შეიძლება ხოტბა შეასხა იმ კაცს, არც ერთ კეთილშობილ ქართველს რომ არ უყვარს.“

ციტატა: „აგესილაოსი გამუდმებით იმეორებდა, რომ მბრძანებელი უნდა აღემატებოდეს სხვებს და არა ფუფუნებითა და სათუთებით, არამედ სიმამაცითა და ვაჟკაცობით.“

მე გამუდმებით ვიმეორებ, რომ „მაგარი მიშა“ აღემატება სხვებს ფუფუნებით, სიმხდალობით, სიბრიყვითა და უვიცობით.

ციტატა: „როდესაც მას ეკითხებოდნენ, რა იყო უმნიშვნელოვანესი, რაც ლიკურგოსის კანონებმა ქმნეს სპარტისათვის, ის უპასუხებდა: „სიძულვილი სიამეთაო.“

როდესაც სააკოვს ეკითხებიან, რა არის უმნიშვნელოვანესი, რაც ნაცმოძრაობის კანონებმა ქმნეს საქართვლოსთვის, ის უპასუხებდა: საქართველოს გამოჩენილი შვილების სიძულვილი და ინტელიგენციის ჩარეცხვა-განადგურებაო.

ციტატა: „მას სამეფო ღირსებებზე ის უფრო მეტად ეამაყებოდა, სხვებზე არანაკლებ შეეძლო შრომა და საკუთარი თავის მართვა.“

მიხეილ სააკაშვილს საპრეზიდენტო ღირსებებზე ის უფრო ეამაყებოდა, რომ არ შეეძლო შრომა და უცხოეთიდან რომ იმართებოდა.

ციტატა: „როდესაც აგესილაოსს ჰკითხეს, თუ რითი გაითქვა სახელი, „სიკვდილის სიძულვილითო,“ — თქვა მან.

როდესაც სააკაშვილს ჰკითხეს, თუ რითი გაითქვა სახელი, ნულოვანი ტოლერანტობით, პატიმრების წამებით, გაუპატიურებითა და მკვლელობებით.

ციტატა: „აგესილაოსი ურჩევდა მეგობრებს, გამდიდრებულიყვნენ არა ფულით, არამედ სიმედგრითა და ღირსებით.“

მიხეილ სააკაშვილი ურჩევდა მეგობრებს გამდიდრებულიყვნენ არა შრომით, არამედ ძარცვა-გლეჯითა და ბიზნესის დატერორებით.

ციტატა: ვილაცამ ჰკითხა: „თქვენი მოქიშპე არგოსელები, რომელთაც ხშირად ამარცხებდით, ერთიანად რად არ გაჟლიტეთ?“ „არც არასოდეს ამოვხოცავთ,



ჩვენს ჭაბუკებს ხომ ვარჯიში სჭირდებათ მუდამ.“

სააკაშვილს ვილაცამ ჰკითხა, თქვენი მოქიშპე ქართველები, რომლებსაც ხშირად ამარცხებდით, ერთიანად რად არ გაჟლიტეთ? მან უპასუხა: „ერთიანად არც არასოდეს ამოვხოცავ, ჩვენს ჭაბუკებს ხომ ვარჯიში სჭირდებათ მუდამ?“

ციტატა: „მას ჰკითხეს: „რა არის ის უაღრესად მნიშვნელოვანი, რასაც უნდა ეზიარონ თავისუფალი ბავშვები?“ მან უპასუხა: „რაც მათ გამოადგებათ, როდესაც წამოიზრდებიან.“

სააკაშვილს ჰკითხეს: „რა არის ის უაღრესად მნიშვნელოვანი, რასაც უნდა ეზიარონ თავისუფალი ბავშვები?“ მან უპასუხა: „რაც მათ გამოადგებათ, ეს არის ბუჩქებში გადასვლა.“

ციტატა: „როდესაც პოლინედიოსისა და სირონის მამას, ლოქაგოს აუწყეს, რომ მის ვაჟთაგან ერთ-ერთი გარდაიცვალა, მან თქვა: „დიდი ხანია, ვიცოდი, რომ ჩემი შვილი მოკვდავი იყო.“

როდესაც მიხეილ სააკაშვილს „აუწყეს“, რომ პრემიერი ზურაბ ჟვანია გარდაიცვალა, მან თქვა: „დიდი ხანია, ვიცოდი, რომ ჩემი ზურა მოკვდავი იყო.“

ციტატა: „მისი რაზმის სიმცირე სხვამაც გაიოცა: „დასალუპავად საკმარისია,“ — იყო პასუხი.“

როდესაც სააკაშვილი მცირე რაზმით სამაჩაბლოში შევარდა, ყველამ გაიოცა. „დასაღუპავად საკმარისია“ — თქვა პრეზიდენტმა.

ციტატა: „მან თავის მეომრებს მოუწოდა ესაუზმათ, ხოლო სადილს, განუცხადა, უკვე ჰადესში მივირთმევთო.“

როდესაც სააკაშვილი სამაჩაბლოსკენ დაიძრა, თავის მეომრებს მოუწოდა, ესაუზმათ, ხოლო სადილს ცხინვალში მივირთმევთო.

ციტატა: „ერთხელ ვილაცამ ჰკითხა მას: რად მიანიჭესო სპარტელებმა მოქალაქეობა პოეტ ტირტეოსს, რაზეც პავსანიას უთქვამს: „იმიტომ რომ უცხოელმა არასოდეს გვიწინამძღვროსო.“

ერთხელ ვილაცამ ჰკითხა სააკაშვილს, „რად მიანიჭეო ორმოციათას თურქს საქართველოს მოქალაქეობა?“ სააკაშვილს უთქვამს, იმიტომ რომ არჩევნებში ხმებს მე მომცემენ და ბიძინა ივანიშვილი ველარასოდეს გვიწინამძღვრებსო.“

ციტატა: „როდესაც ჰკითხეს, დიდი ქონების პატრონი ხარ თუ არაო, პასუხად თქვა: „იმაზე მეტიც არა, რაც აუცილებელია.“

როდესაც სააკაშვილს ჰკითხეს, დიდი ქონების პატრონი არის თუ არა ლევან ვარშალომიძე, პასუხად თქვა: „ბათუმში პატარა ქოხიც ვერ აიშენაო.“

ციტატა: „როდესაც ვილაცა სიამაყით ამბობდა, რომ აგროსელნი მედგრად იბრძოდნენ, სპარტელმა შენიშნა: „დიახ, ტროასთან.“



როდესაც ვილაცამ სიამაყით თქვა, რომ სააკოვის მეომრები მედგრად იბრძოდნენ რუსების წინააღმდეგ, სააკაშვილმა შენიშნა: „დიახ, ცხინვალთან.“

ციტატა: „ვილაცამ იმ სურათის ხილვისას, სადაც ეხატა, თუ როგორ ხოცავენ ათენელები სპარტელებს, თქვა: „რა ყოჩაღები ყოფილან ათენელები!“ მაშინ სპარტელმა შეაწყვეტინა: „მხოლოდ სურათზე.“

ვილაცამ იმ სურათის ხილვისას, სადაც ეხატა, თუ როგორ გორავს ბრძოლის ველიდან გამოქცეული მთავარსარდალი სააკაშვილი, ბიძინა ივანიშვილს უთქვამს: „მიშა მართლა მაგარი ყოფილა.“

ციტატა: „სპარტელს რომ ჰკითხეს, რა ისწავლეს, მან პასუხად თქვა: „თავისუფლება.“

მიშას რომ ჰკითხეს, რა ისწავლეო, მან პასუხად თქვა: „ცოცხებით გაუპატიურება.“

ციტატა: „სპარტელმა მას, ვინც უთხრა, ცრუობო, ასე მიუგო: „ჩვენ თავისუფალი ხალხი ვართ, აი, სხვებს კი, თუ იცრუებენ, სამაგიეროც მიეზღვევათ.“

სააკაშვილმა მას, ვინც უთხრა, ცრუობთო, ასე მიუგო: „ნაცები თავისუფალი ხალხი ვართ, აი, სხვებს კი თუ იცრუებენ, სამაგიეროც მიეზღვებათ.“

ციტატა: „ერთ სპარტელს, რომელსაც წაასწრო კაცს სამარცხვინო ქალთან, აღმოხდა: „უბედურო, რა გრჯის, ვინ გაიძულა?“

მიხეილ სააკაშვილს, როდესაც წაასწრეს ბათუმის „შერატონის“ აუზში სამარცხვინო ქალთან, აღმოხდა: „უბედურო, ცხოველი ხარ, თუ ადამიანი?“

ციტატა: სხვამ, როდესაც გაიგო რომ მისი შვილი მტერს გამოექცა და გადარჩა, ასე მისწერა: „ცუდი ხმები დადის შენზე, თავი ან იმართლე, ან მოიკალი.“

როდესაც გიული ალასანიამ ცხინვალიდან გამოქცეული მისი შვილი ნახა თუ როგორ ფორთხავდა მიწაზე გართხმული, მისწერა: „გამაგრდი, შვილო, შენ გამარჯვებული ხარ.“

ციტატა: „სხვა სპარტელმა დედამ, როდესაც გაიგო, რომ მისი შვილი უცხო ქვეყნად ცუდად იქცევა, ასეთი რამ მისწერა: „ცუდი ხმა დადის შენზე, ან იმართლე თავი, ან მოიკალი.“

როდესაც სააკაშვილის დედამ გაიგო, რომ მისი შვილი უკრაინაში ცუდად იქცევა, მისწერა: „ცუდი ხმა დადის შენზე, თავი არ იმართლო, თავს გაუფრთხილდი.“

ციტატა: „ერთმა სპარტელმა ქალმა, რომელსაც შინ დაბრუნებული შვილი დაინახა, ჰკითხა: „ჩვენებს რა დაემართათ?“ და როდესაც პასუხად შეესმა, „დაიღუპნენო,“ იქვე დაგდებულ ქოთნის ნატეხს სწვდა, ესროლა შვილს და მოკლა ამ სიტყვებით: „შენ კი ამის სათქმელად გამოგაგზავნეს?“

ერთმა ქართველმა ქალმა, როდესაც აგვისტოს ომიდან შინ დაბრუნებული შვილი (სააკაშვილი) დაინახა ჰკითხა: „ჩვენს (ჯარისკაცებს, — **შ.ზ.**) რა დაემართათ?“ და როდესაც პასუხად შეესმა, „დაიღუპნენო,“ იქვე დაგდებულ ქოთნის ნატეხს კი არ წვდა და კი არ უსაყვედურა „შენ კი ამის სათქმელად გამოგაგზავნეს?“ — არამედ რუსთაველზე ტაშ-ფანდური გაუმართა, როგორც გამარჯვებულ მთავარსარდალს.

**„პავსანიასი ამბობდა, რომ ის ექიმია საუკეთესო, რომელიც კი არ ალპობს ავადმყოფებს, არამედ უმალ ასაფლავებს.“**

**სააკაშვილის სატუსაღოს ექიმები გაუპატიურებულ და წამებით მოკლულ პატიმრებს ტუბერკულოზით სიკვდილს უფორმებდნენ და კი არ ალპობდნენ, უმალ მარხავდნენ.**

ციტატა: „სპარტელებმა დასაჯეს გავლით მყოფი მეკითარე მხოლოდ იმიტომ, რომ იგი კითარაზე თითებით უკრავდა.“

პრეზიდენტყოფილი სააკოვი არავის დაუსჯია იმის გამო, რომ ცხვირს ცერა თითით იწმენდდა და არა — ცხვირსახოცით.

ციტატა: „პავსანიასი ამბობდა, რომ ის ექიმია საუკეთსო, რომელიც კი არ ალპობს ავადმყოფებს, არამედ უმალ ასაფლავებს.“

სააკაშვილის სატუსაღოს ექიმები გაუპატიურებულ და წამებით მოკლულ პატიმრებს ტუბერკულოზით სიკვდილს უფორმებდნენ და კი არ ალპობდნენ, უმალ მარხავდნენ...

ციტატა: „როდესაც მავანნი ჩიოდნენ, რომ დისანდროსმა დაარღვია მილეტოსში დადებული ფიცი, მას უთქვამს: „ბავშვებს კენჭობანას თამაშის წინ ატყუებენ, მოზრდილებს — ფიცის დადებისასო.“

როდესაც სააკაშვილს უთხრეს, რატომ დაარღვიე გელათში, დავით აღმაშენებლის საფლავთან დადებული ფიციო, მას უთქვამს, ბავშვებს „ჟუვაჩკებით“ ვატყუებ, დიდებს — ფიცითო.

ციტატა: „სხვათა შეკითხვაზე, ბევრი ხართო ლაკედემონელები, პასუხად უთქვამს: „არამზადათა დასაფრთხობად საკმარისიაო.“

სააკოვის შეკითხვაზე, ბევრი ხართო მეოცნებენი, ივანიშვილს უთქვამს: „არამზადათა დასაფრთხობად საკმარისიაო.“

ციტატა: „ათენელებს უთხრეს, რომ მათ ქალაქში იყო კაცი, რომელიც ისე არ ფიქრობდა, როგორც ყველა სხვა. ამის გამო ათენელები შფოთავდნენ და საჭიროდ მიიჩნევდნენ მის აღმოჩენას. მაშინ ფოკიონმა განაცხადა, მე ვარო ის კაცი, რამეთუ მხოლოდ მე არ მომწონდა ის, რასაც ამბობს და სჩადის უმრავლესობა.“

ნაციონალების უმრავლესობამ სააკაშვილს უთხრა, რომ მათ ქვეყანაში იყო კაცი, რომელიც ისე არ ფიქრობდა, როგორც ყველა ნაციონალი, ამის გამო სააკაშვილი შფოთავდა და საჭიროდ მიიჩნევდა მის აღმოჩენას. მაშინ მე განვაცხადე, მე ვარ ის კაცი, რამეთუ მე არ მომწონდა ის, რასაც ამბობდა და სჩადიოდა პრეზიდენტყოფილი.

ციტატა: „ვილაცამ მას წყალი შეასხა. მეგობრები აქეზებდნენ შეურაცხმყოფლისათვის სამაგიერო მიეზღო. „მან მე კი არ შემასხა წყალი, — უთხრა წამქეზებელს არქელაოსმა, — არამედ იმას, ვინც ჩემად იგულა!“

უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრმა ავაქოვმა მთავრობის სხდომაზე სააკაშვილს წყალი შეასხა და ჭიქაც მიაყოლა. თბილისელი ნაცები აქეზებდნენ სამაგიერო მიეზღო. „მან მე კი არ შემასხა წყალი, — უთხრა წამქეზებლებს სააკაშვილმა, — არამედ იმას, ვინც მე უკრაინაში მიმავლინა!“

ციტატა: „ტახტიდან ჩამოგდებულს როდესაც ჰკითხეს, თუ რითი დაეხმარნენ მას ფილოსოფოსები და პლატონი, ასე მიუგო: „იმით, რომ ასე იოლად ვიტან ბედის სიმუხთლეს!“

ტახტიდან ჩამოგდებულ სააკაშვილს ჰკითხეს, თუ რით დაეხმარნენ მას აშშ-ის და ევროკავშირის ელჩები, ასე მიუგო: „იმით, რომ ახლა მატროსოვზე არ ვიმყოფებიო.“

გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება, მაგრამ ესეც საკმარისია პრეზიდენტყოფილის შავბნელი პორტრეტისათვის, რაც ჩემგან მისი დიდი პატივია.

* * *

ეს სტატია დაწერილი იყო, როცა უკრაინელებმა ოდესის გუბერნატორი პანღურით გააცილეს თანამდებობიდან. არ ვიცი, უკრაინაში რა ჰქვია ჩვენი მატროსოვისთანა დაწესებულებას, მაგრამ ვიცი, რომ მას იგი არ ასცდება თუ უკრაინიდან გაპარვა ვერ მოასწრო. კაცმა რომ თქვას, უკრაინელებმა ქართველებს გვაჯობეს. მათ რაღაც ექვსი თვე ეყოთ იმისათვის, რასაც ჩვენ ცხრა წელიწადი მოვანდომეთ. იმედია, მას უკრაინული „მატროსოვი“ ასცდება, რადგან გაპარვაში მართლაც მაგარია. ჯერ იყო და მთავარსარდალი „გმირულად“ გამოიპარა ცხინვალიდან. ხოლო საქართველოდან ისე გაიპარა, მის მიერ გახსნილ მცხეთის სალობიეში მუცელამოყორილ ნაცებს რომ ეპარებათ, რაც წესიერ ხალხში არ ითქმება.



**შოთა ზოიძე.**
**მწერალი, ბათუმი.**



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №259

# მემედ ბეგ აბაშიძის სახლიკაცები

## ეროვნული მოძრაობის ვეტერანის გიზო კორძაძის შეხვედრები იბრაგიმ აბაშიძესთან. ჩანაწერები პირადი არქივიდან

**„მემედ აბაშიძე პირველი აჭარელი მწერალი – პუბლიცისტი და მოღვაწე იყო, რომელიც დაუღალავად იბრძოდა ქართველ მაჰმადიანთა და ქართველ ქრისტიანთა შორის „ჩატეხილი ხიდის“ აღდგენისათვის. ჩვენ, ახალგაზრდებს კი მემედ აბაშიძე ეროვნული ინტერესების დამცველ გმირად მიგვაჩნდა“.**

**სერგი გერსამია**

1979 წელს გადამიყვანეს ლიტერატურის მუზეუმის სამეცნიერო-საგანმანათლებლო განყოფილების გამგედ. სხვა საქმიანობასთან ერთად გვევალებოდა ლიტერატურული ღონისძიებების ორგანიზაცია. მუზეუმის დირექციას შევთავაზე, მოგვეწყო **მემედ აბაშიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი საღამო**. თანხმობა მივიღე და მოსამზადებელი მუშაობა დაიწყო. გადავწყვიტეთ, უპირველეს ყოვლისა, დავკავშირებოდით მემედ აბაშიძის შთამომავლებს ბათუმში და ისინი საღამოზე მოგვეწვია.

სექტემბრის დასაწყისში ბათუმში ჩავიდნენ განყოფილების მეცნიერ-მუშაკები ქალბატონი **ნინო ხოფერია** და **გიორგი სიხარულიძე**. მოინახულეს ბატონი ასლანი, რომელიც მაშინ პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორად მუშაობდა. მან სტუმრებს ურჩია ამ საქმეში ჩაებათ მამამისიც იბრაგიმ აბაშიძე, რომელიც იმჟამად ქალაქში არ იმყოფებოდა. რამდენიმე დღეში დაგაკავშირებთო – შეჰპირებია ბატონი ასლანი.

დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ მე ბათუმში ჩავედი და ბატონ ასლანს მივაკითხე. მას უამრავი საქმე ჰქონდა და მთლიანად გამოჯანმრთელებულიც არ იყო (თუ არ ვცდები, ავტოავარიის შემდეგ), მაგრამ ჩემთვის მაინც გამონახა დრო, კმაყოფილი ჩანდა წამოწყებით. ბატონი იბრაგიმი უკვე ჩამოსულიყო. ასლანმა მამას დაურეკა და მის მობრძანებამდე მაშინდელ საჭირობოროტო საკითხებზე ვისაუბრეთ. სხვათაშორის, აფხაზეთის საკითხზეც, რომელიც მაშინაც გამწვავებული გახლდათ. ამასობაში იბრაგიმიც მობრძანდა. მასთან პირველი შეხვედრისთანავე სიმპატია გაგიჩნდებოდათ: სანდომიანი ღიმილი, უშუალობა, თავადური მიხრა-მოხრა... გაცნობის შემდეგ ასლანს დავემშვიდობეთ და მომავალი ღონისძიების საქმეებზე მოსალაპარაკებლად გამოვედით.

მე და ბატონი იბრაგიმი მალე დაუახლოვდით ერთმანეთს. სასიამოვნო გულისხმიერება გამოიჩინა: როგორ იმგზავრე, ბათუმში ადრეც ხომ ყოფილხარ, ბინის პრობლემა ხომ არ გაქვსო...

– გმადლობთ, ბატონო იბრაგიმ, კარგად ვიმგზავრე. ბინის პრობლემა არ მაქვს, აქ ჩვენი ახლობელი ოჯახია და იქ ვიცხოვრებ-მეთქი.

– რომელი ოჯახია და სად ცხოვრობენო, – დაინტერესდა ბატონი იბრაგიმი, – ამ ქალაქის თითქმის ყველა ძირძველ მკვიდრს ვიცნობო. თუმცა, ჯერ ვისადილოთ, მოგშივდებოდა, სუფრასთან უფრო გამოგვივა საუბარიო.

კაფეში შევედით, იბრაგიმს გამოეგება იქაური პერსონალი. – აბა არ შემარცხვინოთ, თბილისიდან მყავს სტუმარიო, – შეაგულიანა ისინი იბრაგიმმა.

საუბარი მართლაც, ჩინებულად აეწყო – ბატონო იბრაგიმ, მამათქვენის მოღვაწეობისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილ საღამოზე უნდა ჩამობრძანდეთ და სიტყვით გამოხვიდეთ. ეს ქართული ლიტერატურის მუზეუმის თანამშრომლებისა და დირექციის თხოვნაა-მეთქი. სიამოვნებით დამეთანხმა. მოგვიწონა ბათუმის მუზეუმის თანამშრომლების მოწვევასაც რომ ვაპირებდით. – ერთ საჩოთირო ამბავსაც გაგიმხელთ – ვეუბნები ბატონ იბრაგიმს – ჩვენს მუზეუმს ხელისუფლება ანტისაბჭოურ ბუდეს უწოდებს, ზვიადი და მერაბი ხშირად მოდიოდნენ ჩვენთან, ეროვნულად დამუხტული ხალხია მუზეუმში და ამიტომ სუკის ყურადღებაც არ გვაკლია-მეთქი.

– ეგ მე არ მაშინებსო, – ბრძანა ბატონმა იბრაგიმმა და შეგვაქო კიდეც: – კარგი ბიჭები ყოფილხართ, თბილისში აუცილებლად ჩამოვალ და სიტყვითაც გამოვალო.

შევთანხმდით, რომ მეორე დღეს ბათუმის სახელმწიფო მუზეუმს ვეწვეოდით და ყველა საკითხს გადავწყვეტდით.

იბრაგიმთან ერთად ბათუმის ქუჩებში გასეირნება ფრიად საინტერესო იყო. ყველა ძველი შენობის ისტორია იცოდა. არა მარტო ბათუმის, მთელი საქართველოს პატრიოტი კაცი გახლდათ, ჭეშმარიტი „მამულიშვილი“... ხშირად ამიტომაც ხმარობდა ამ სიტყვას. თანაქალაქელები პატივისცემით ესალმებოდნენ მას. ერთ-ერთ კოხტა, ბათუმური სახლის აივანზე გადმომდგარმა, ხანშიშესულმა ქალბატონმა ყავაზე მიგვიპატიჟა. – ეს ქალბატონი ჩვენი ნათესავია, მოდი, ნუ გავაწბილებთო. მასპინძელი სასიამოვნო მოსაუბრე გამოდგა. იგი მემედ აბაშიძეს თურმე პირადად იცნობდა.



მეორე დღეს ბატონ იბრაგიმს 11 საათზე შევხვდი და მუზეუმში წავედით. იქაურმა თანამშრომლებმა უკვე იცოდნენ, რომ ქართული ლიტერატურის მუზეუმში მემედ აბაშიძის ხსოვნის საღამო მზადდებოდა. შევარჩიეთ რამდენიმე ფოტოსურათი. სურათების გაშიფვრისას ბატონი იბრაგიმი შესანიშნავი კონსულტანტი გამოდგა. მან რამდენიმე ჯერ დაუდგენელი პიროვნების ვინაობა გვამცნო.

შევთანხმდით, რომ ბატონი იბრაგიმი და მუზეუმის რამდენიმე თანამშრომელი ფოტოებს წამოიღებდნენ და თბილისში ჩამოვიდოდნენ.

* * *

**თბილისმა მზიანი დილა დაახვედრა სტუმრებს. ქართული ლიტერატურის მუზეუმის თანამშრომლებმა გულთბილად მიიღეს ისინი. მუზეუმის მაშინდელი დირექტორის, ბატონ ლევან მილორავას კაბინეტში „ალა-ფურშეტის“ შემდეგ ბატონი იბრაგიმის გარდა, ყველა სტუმარი, საღამომდე პირად საქმეებზე წავიდ-წამოვიდა. ხელნაწერთა განყოფილების გამგის ბურამ ვანიძისა და ჩემს თხოვნაზე ბატონმა იბრაგიმმა უარი ვერ თქვა და ღონისძიებამდე დარჩენილი დრო ჩვენთან გაატარა.**

მუზეუმის დარბაზი მზად იყო. გამოფენილ თვალსაჩინო მასალას სტუმრების ჩამოტანილი ფოტოებიც დაემატა. მემედ აბაშიძის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო 19 საათზე იწყებოდა. ჩვენი ღონისძიებები საკმაოდ პოპულარული იყო საზოგადოებაში, მაგრამ იმ ხანებში სუკის გაძლიერებული მეთვალყურეობის გამო ზოგიერთი გვერიდებოდა. მიუხედავად ამისა, ჩვენი პატარა დარბაზი გაიჭედა. მემედ აბაშიძის მოღვაწეობისა და შემოქმედების მნიშვნელობაზე, მისი ცხოვრების ცალკეულ, განსაკუთრებულ, მომენტებზე საინტერესოდ ისაუბრეს გამომსვლელებმა. მუზეუმის მაშინდელმა დირექტორმა, დრამატურგმა **ლევან მილორავამ** თავისი სიტყვა ასე დაამთავრა: მემედ აბაშიძის ბიოგრაფია შესანიშნავი სიუჟეტია დრამისთვისაც და კინოსცენარისთვისაცო. მემედ აბაშიძის შემოქმედების მხატვრული მხარე მიმოიხილა უფროსმა მეცნიერ-მუშაკმა **ნინო ხოფერიამ**. პოეტმა და მეცნიერმა მიხეილ ქურდიანმა საინტერესოდ ისაუბრა მემედ აბაშიძის უდიდეს როლზე ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა ძმობის აღდგენა-განმტკიცებაში.



გიორგი შავერდაშვილი, იბრაგიმ აბაშიძე და გიზო კორძაძე. 1979 წელი.

საღამოზე მობრძანებულ სტუმართა გამოსვლებიდან განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ცნობილი მწერლისა და კრიტიკოსის **ედიშერ გიორგაძის** სიტყვა. ბათუმელ სტუმართაგან გამოვიდა იქაური მუზეუმის ერთ-ერთი თანამშრომელიც, შუახნის სიმპატიური ქალბატონი, რომლის სახელი, სამწუხაროდ, არ მახსოვს, მაგრამ მისი სიტყვებიდან დამამახსოვრდა შემდეგი: **მემედ აბაშიძის ამგვარი საღამო პირველად ჩატარდა და თბილისელებმა ამაში ნამდვილად გვაჯობეს, რაც კიდევ უფრო დასტურია იმისა, რომ მემედი მთელი საქართველოს კუთვნილებააო.**

ბოლოს სიტყვა მიეცა ბატონ იბრაგიმს. დამსწრე საზოგადოება მას ტაშით შეხვდა.

იბრაგიმმა ასე დაიწყო: ამდენი საქებრის მოსმენა საკუთარ მამაზე უხერხულიც კია... მის მამულიშვილურ ღვაწლზე თითქმის ყველაზე ითქვა, მე მხოლოდ რამდენიმე მოგონებას მოგახსენებთ მის პიროვნულ ხასიათს, მის ბუნებას კარგად რომ ჩაწვდეთო. იბრაგიმის მოგონებებში მართლაც მემედის საოცარი სულგრძელობა ჩანდა. სულისშემძვრელი იყო შვილის



მემედ აბაშიძის ძეგლი ბათუმში

თვალით დანახული მამის სამყარო... იბრაგიმის სიტყვის დასრულებას ხანგრძლივი ტაში მოჰყვა.

* * *

**შემდეგ ბატონი იბრაგიმი და ბათუმელი სტუმრები ვახშამზე მივიპატიჟე. ჩვენმა ქალებმა მუზეუმის თანამშრომლის ნანა ტალაშვილის ოჯახში ლაზათიანი სუფრა გაშალეს. ნანამ და მისმა მეუღლემ გიორგი შავერდაშვილმა არაფერი დაიშურეს სტუმრების ღირსეულად დასახვედრად. სანამ სუფრას მივუსხდებოდით, მე, გიორგიმ და იბრაგიმმა ერთად სურათის გადაღებაც მოვახერხეთ. თამადა ლევან მილორავა იყო. იბრაგიმმა შესანიშნავად მოილხინა. ნანა ტალაშვილი კახელია და იბრაგიმს მოეწონა ველისციხური ღვინო, რომელიც მასპინძლებმა ჩვენთვის არ დაიშურეს.**

მეორე დღეს იბრაგიმი კვლავ მობრძანდა ლიტერატურის მუზეუმში. ჩვენი ფონდები გავაცანით. ხუთი საათის განმავლობაში ყურადღებით ათვალიერებდა ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას და სხვა სახელოვან მწერალთა ავტოგრაფებს, მემორიალურ და იკონოგრაფიულ მასალებს. მისი განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მე-11 საუკუნის ათონურმა ოთხთავმა, 1712 წელს, ვახტანგ მეექვსის სტამბაში დაბეჭდილმა „ვეფხისტყაოსანმა“ და სხვა უნიკალურმა ექსპონატებმა.

საღამოს ბატონი იბრაგიმი შინ მივიპატიჟე. იგი გულღია, უშუალო კაცი იყო და ამიტომ მისი სტუმრობაც ძალიან სასიამოვნო გახლდათ. სუფრასთან მხოლოდ იბრაგიმი, მე, ჩემი მეუღლე და ჩვენი 9 წლის ნათია ვისხედით. ნათიამ სიმღერებით გაგვართო. ბატონ იბრაგიმს გავეხუმრე, – ნათია პირველად ხედავს მაჰმადიან ქართველს-მეთქი. იბრაგიმს გაეცინა – დიახ, ნამდვილი მუსლიმანი ქართველი ვარო. მახსოვს, ვუთხარი: ბატონო იბრაგიმ, მუსლიმანობა რაში გეტყობათ, ღვინოს აჭაშნიკებთ, შვილებიც ქრისტიანები გყავთ-მეთქი. მერე იეთიმ გურჯის ლექსი გავახსენე: **„ქრისტეს ცნებით რად მოვსულვარ, მაჰმადის კარს სამსახურად“...**

– ა, კაცო, მეტი რა გინდა, – თქვა იბრაგიმმა, – იეთიმიც ჩემს დღეში ყოფილა, ჩემსავით თავგამოდებული ქართველი და მუსლიმანად მონათლულიო.

იბრაგიმის წასვლის დრო მოვიდა. მე მას მატარებლამდე ვაცილებდი. ოჯახს დაემშვიდობა, – რაიმე სახსოვარი უნდა დაგიტოვოთო. სამწუხაროდ, ამ ძველებური პორტსიგარის მეტი არაფერი მაქვსო და უნდა გაჩუქოო, – მითხრა ბატონმა იბრაგიმმა და ტყავის პორტსიგარი გამომიწოდა.

მატარებლის გასვლისას მე და იბრაგიმი გულმხურვალედ გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს.

მას შემდეგ იშვიათად ჩავდიოდი ბათუმში, მაგრამ ჩასვლისთანავე ბატონ იბრაგიმს მოვინახულებდი და მოვიკითხავდი ხოლმე. ჩვენი მეგობრობა და გულთბილი ურთიერთობა შემდგომშიც დიდხანს გაგრძელდა...

მის ნაჩუქარ პორტსიგარს ძვირფას რელიკვიად ვინახავდი, მაგრამ პარლამენტართა ჯგუფთან ერთად ბათუმში ყოფნისას (მგონი 1993 წელს) გავიგე, რომ მემედ აბაშიძის სახლ-მუზეუმი იხსნებოდა და იგი მომავალ დირექტორს გადავეცი. როგორც მუზეუმის ყოფილმა მუშაკმა, ვიცოდი, რომ ეს ნივთი სახლ-მუზეუმის ფონდებისთვის ძვირფასი შენაძენი იქნებოდა.

**გიზო კორძაძე.**

# საიდან მოვიდა „შობის ბებია“?

## რაზე მიგვანიშნებენ აპოკრიფები




**„გავლენები, რომლებიც უცხო კულტურიდან შემოდიან, ახალ რელიგიურ სისტემებს კი არ ქმნიან, არამედ ევრიან უკვე არსებულს. გარედან შემოსული, წარმატებულად დამკვიდრებული სიახლე ნიშანია იმისა, რომ მოცემულ კულტურაში უკვე არსებობდა მსგავსი რელიგიური სისტემა“.**

(მირჩე ელიადე).

შობის მესამე დღეს, რაჭაში, ხალხი აღნიშნავდა დღესასწაულს, რომელსაც „შობის ბებია“ ერქვა. ეს დღე უქმე იყო. „შობის დედა“ ანუ შობის მომდევნო დღე, ხალხს უფრო დიდ დღედ მიაჩნდა. „შობის დედა“ ხალხს მშობიარე ქალებისთვის ჰქონდა განკუთვნილი, რათა მათ მშვიდობიანად მოელოგინებინათ. „შობის ბებია“ ღვთისმშობლის საპატივცემულო დღედ მიაჩნდათ. ხსენებულ დღეებში, არც ლოცვა იცოდნენ და არც განატეხს აცხობდნენ. შობის მეორე დღე მართლმადიდებლური კალენდრით ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კრების დღეა.

როდესაც დავინტერესდით თუ რა დღესასწაულია „შობის ბებია“ და კიდევ რომელ კუთხეში აღნიშნავენ მას, აღმოჩნდა, რომ ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ამგვარი დღესასწაული, თუ კი იგი არსებობდა, სხვაგან არ არის შემორჩენილი. არც „შობის დედა“ შეგხვედრია სადმე. დღესასწაულ „შობის ბებიის“ სახელწოდებიდან გამომდინარე, ბუნებრივად გაგვიჩნდა მოსაზრება, რომ იგი შესაძლოა, წმ. ანას, ღვთისმშობლის დედას უკავშირდებოდა. დავიწყეთ ძებნა სხვა მართლმადიდებელ კალენდრებში, პირველ ყოვლისა, მივმართეთ მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის შეერთებულ კალენდარს.

თანამედროვე ქართული საეკლესიო კალენდრის, ბერძნული მსოფლიო საპატრიარქოს ჰემეროლოგიონის (1999წ.), ბერძნული ელადის ეკლესიის კალენდრის (1999 წ.), წმ. გიორგი მთაწმიდელის „სვინაქსარის“, იოანე ზოსიმეს კალენდრის, „იერუსალიმის კანონარის“, ამ კანონარის თარხნიშვილისეული გამოცემის მიხედვით შობის მესამე დღეს (27.12/9.01) მოიხსენიება წმ. სტეფანე პირველმოწამე. ამით ყველა ზემოხსენებული კალენდარი ავლენს საერთოს. თითოეული მათგანი, თავის მხრივ, სხვადასხვა წმინდანსაც მოიხსენიებს. მათ შორის არ არის ნახსენები წმ. ანა ან რაიმე მინიშნება მაცხოვრის შობაზე.

ძიების პროცესში მივმართეთ ს. ვ. ბულგაკოვის მიერ გამოცემულ სამაგიდო წიგნს სასულიერო პირთა და მღვდელმსახურთათვის. ამ გამოცემაში მოცემულ თვეენში, რომლითაც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია სარგებლობდა და სარგებლობს, შობის მესამე დღეს (27.12/9.01) ასევე წმ. სტეფანე პირველდიაკონი მოიხსენიება. მოცემული დღე, მსგავსად ზოგიერთი კალენდრისა, წმ. თევდორეს, მის ძმას თეოფანეს და კონსტანტინოპოლის არქიეპისკოპოს თევდორეს უკავშირდება. ჩვენი მოლოდინი, რომ ეს დღე, შესაძლოა, გარკვეულად ღვთისმშობლის დედას, წმ. ანას დაკავშირებოდა, არ გამართლდა. თუმცა, აქვე, ს. ვ. ბულგაკოვის ხსენებულ ნაშრომში, 26.12/8.01, რაც რაჭაში „შობის დედის“ სახელითაა ცნობილი და სამართლმადიდებლოში ღვთისმშობლის კრებას უკავშირდება, ერთ საინტერესო ცნობას წავაწყდით. ეს ცნობა ჩვენი საკვლევი დღესასწაულის ბუნებას ხსნის.

ს. ვ. ბულგაკოვის თქმით, შობის მეორე დღეს (26.12/8.01) რუსეთის ზოგიერთ რეგიონში ხალხური რწმენა-წარმოდგენებიდან გამომდინარე აღინიშნება დღესასწაული, რომელსაც *სოლომონიდები* ან *სალომიები/სალომეები* ჰქვია. ხალხის რწმენით, მენელსაცხებლე დედა სალომემ ღვთისმშობლის მშობიარობის დროს მიიღო იესო ქრისტე, რის შესახებაც გვიამბობენ აპოკრიფული სახარებები. ძველმოწესეები ამ დღეს მშობიარეს ლოცვაში იხსენიებენ. ჩრდილოეთ რუსეთში სალომეს საპატივცემულოდ ხარშავენ ფაფას, რომლითაც ბებიაქალებს უმასპინძლდებიან. ამას „ბებიების ფაფას“ ეძახიან. სამხრეთ რუსეთში, ხალხური წესის მიხედვით, მელოგინეს მონახულებისას, მის საპატივცემულოდ, მიჰქონდათ ღვეზელი. სწორედ ამ წესის მიხედვით, 26 დეკემბერს ხალხს ეკლესიაში, ასე ვთქვათ მელოგინე ღვთისმშობლის საპატივცემულოდ, ღვეზელები მიჰქონდა. 1590 წელს უკრაინის მიტროპოლიტმა მიხეილმა ეს წესი აკრძალა. თუმცა, *სოლომონიდებთან* დაკავშირებული რუსული ფოლკლორი და საძეობო ხალხური რწმენა-წარმოდგენები თვალნათლივ ეხმიანება, როგორც იაკობის აპოკალიფსს, ასევე ფსევდო მათეს სახარებას. ვფიქრობთ, დღესასწაული „შობის ბებია“ და „შობის დედა“ სწორედ ამ რუსული დღესასწაულის ანარეკლი უნდა იყოს. როგორც ჩანს რუსული *სოლომონიდები* ან *სალომიები/სალომეები*, რომლებიც რუსეთში შობის მომდევნო დღეს აღინიშნებოდა, რაჭაში ორ დღედ განაწილდა: „შობის დედად“ (შობის მომდევნო დღე, რომელსაც ხალხი კეთილი მოლოგინების დღედ მიიჩნევდა) და „შობის ბებიად“, რასაც ხალხი ღვთისმშობელს უკავშირებდა.ჩვენი ვარაუდი, რომ „შობის ბებია“ ღვთისმშობლის დედას, წმ. ანას უკავშირდებოდა, არ გამართლდა. შესაძლოა, იგი იმ ბებიაქალის მოსახსენებელი დღე იყო, რომელსაც ღვთისმშობელი უნდა ემშობიარებინა ანუ აპოკრიფებისორი ქალის, რომელთაგან ერთ-ერთი სალომე იყო, ანდა მასთან დაკავშირებული ამბის თუ სასწაულის. როგორც ჩანს, რუსეთის ზოგიერთ მხარეში შობის მომდევნო დღე და მასთან დაკავშირებული ხალხური წეს-ჩვეულებები ბებიაქალებისთვისაც სრულდებოდა, მათთვისაც იყო განკუთვნილი, ანუ ეს დღე ხალხში ბებიაქალების დღედაც ითვლებოდა.

„შობა მარიამისა. იაკობის აპოკალიფსი“ ადრეული პერიოდის აპოკრიფია, რომლის ავტორადაც ტრადიციულად იაკობ მოციქული სახელდება. ამ ნაწარმოების ძველქართული თარგმანია „თქმული ღვთისმშობლის შობისათვის“. დადგენილია, რომ ქართველები ამ აპოკრიფს ჯერ კიდევ V-VII სს. იცნობდნენ. ეს ძეგლი ჯერ კიდევ II ს-ში უნდა ყოფილიყო ცნობილი. იგი მრავალ ენაზეა თარგმნილი.

ხსენებულ აპოკრიფში, როდესაც გამოქვაბულში წმ. მარიამს მშობიარობის დრო დაუდგა, იოსები იუდეველი ბებიაქალის საძებნელად გაემართა. დაინახა მთიდან მომავალი ქალი და მას დახმრება სთხოვა. ქალი იოსებთან ერთად გამოქვაბულისკენ გამოემართა. როდესაც ყრმა იესო დაიბადა, ბებიაქლმა თქვა: „რა დიდია დღევანდელი დღე, რადგანაც ვიხილე სახილველი ახალი“. აქვე ჩნდება სალომე, რომელსაც ეჭვი ებადება, ღვთისმშობლის ქალწულობაში; რომ ქალწულმა შეიძლება შობოს. იგი თომა მოციქულივით „განიხილავს“ მარიამის ქალწულებას და ირწმუნებს, თუმცა დაისჯება. მისი ხელი მხოლოდ მას შემდეგ განიკურნება, როდესაც ჩვილ იესოს აიყვანს და მიიხუტებს. მსგავს ისტორიას გვიამბობს ფსევდო მათეს სახარებაც, სადაც ასევე ორი ბებიაქალი, ზელომაჰგელომა და სალომეა მოხსენიებული. თუმცა, არც ერთ მათგანს არ მიუღია მშობიარობაში მონაწილეობა. მათი მოსვლისთვის იესო უკვე შობილი იყო.

მოცემული საკითხის კონტექსტში აღსანიშნავია, რომ საქართველოში ბებია-ქალებისთვის რაიმე განსაკუთრებული საწესო თუ სადღესასწაულო დღის არსებობა ეთნოლოგებისთვის უცნობია. ამდენად, რაჭული „შობის ბებია“ და „შობის დედა“ორ დღეზე გადანაწილებული ერთი რუსული ხალხური დღესასწაული უნდა იყოს, რომელიც ქართულ ხლხურ კალენდარში სხვა ქართულ დღესასწაულებს შორის აღმოჩნდა. თუმცა, 1930-იანი წლებიდან ხალხმა უკვე აღარ იცოდა, თუ რას აღნიშნავდნენ რაჭაში შობის მესამე დღეს (27.12/9.01). შობის მეორე დღის დღესასწაულში („შობის დედა“) სოლომონიდების ანარეკლი, როგორც ჩანს, უნდა დარჩენილიყო, რისთვისაც ქართულ ტრადიციულ რწმენასაც უნდა შეეწყო ხელი, რომლის მიხედვითაც ღვთისმშობელი ქალების, შვილიერების მფარველიცაა. როგორც ცნობილია, შობის მომდევნო დღეს ეკლესია ღვთისმშობლის კრებას აღნიშნავს. ის ფაქი, რომ რაჭაში ამ დღეს „შობის დედა“ ერქვა და მელოგინეებისთვის განკუთვნილი დღეც იყო, გვაფიქრებინებს, რომ სახელწოდებაში ხაზი ესმება არა იესოს შობას, არამედ ღვთისმშობლის მშობიარობას და ამ ამბის გარშემო განვითარებულ მოვლენებს, რაც ჩვენთვის მხოლოდ ზემოხსენებული აპოკრიფებიდანაა ცნობილი.

აქვე ჩნდება კითხვა, თუ რას შეიძლება განეპირობებინა რუსული ხალხური დღესასწაულის ერთი ქართული რეგიონის კალენდარში დამკვიდრება? ცნობილია, რომ ხალხური სარწმუნოება სულიერ სამყაროსთან შეხვედრის ეროვნული გამოცდილებაა, რომელიც ეროვნული კულტურის, ეროვნული მსოფლმხედველობის გარკვეულ სისტემას ქმნის. ანიჭებს ზოგადს და საერთოს ეროვნულ იერსახეს. მართალია, დიდი რელიგიების აღმსარებლებს საერთო ღმერთი, საერთო სწავლება, დოგმატიკა აერთიანებთ, მაგრამ ადგილობრივ ეკლესიებს თუ თემებს მაინც შეაქვთ საკუთარი, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ამ საყოველთაო სწავლებაში. ასევეა მართლმადიდებელი ქრისტიანებისთვის, რომლებსაც მრწამსის, დოგმატის, ლიტურგიის, საეკლესიო მსახურების ფაქტობრივად იგივეობის მიუხედავად, აქვთ ეროვნული, მათთვის დამახასიათებელი, როგორც საეკლესიო, ასევე ხალხური ტრადიციებიც.

როგორ ცნობილია, კავკასიის რუსიფიკაციის პოლიტიკაში დიდი წვლილი შეიტანა „რუსეთის სასულიერო კომისიამ“(1815-1860) და „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ“ (1860-1917). ეს „მისიონერული“ ორგანიზაციები ოსეთში, სვანეთში, თუშფშავ-ხევსურეთში, აფხაზეთში, აჭარაში, საინგილოში, სამცხე-ჯავახეთში და ჩრდილო კავკასიის სხვა კუთხეებში მოღვწეობდნენ. გარუსების და შესაბამისად ქვეყნის დაპყრობის რელიგიურ თუ წმინდა პოლიტიკურ მეთოდებთან ერთად რუსეთი დემოგრაფიული სურათის შეცვლის პრაქტიკასაც იყენებდა, რაც მისი პოლიტიკის ერთ-ერთ მახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა და წარმოადგენს. რუსეთი კავკასიაშიც და საქართველოშიც თავის მოსახლეობას აფუძნებდა. შესაბამისად, რუსეთის ეკლესიას მრევლის ნაწილითან მოჰყავდა. მართალია, რუსეთის ეკლესიამ XVI ს. აკრძალა სოლომონიდები, მაგრამ რუსი ხალხი მას, როგორც ადრე, შობის მომდევნო დღეს მაინც აღნიშნავდა.ამჯერადაც,ხალხმა, როგორც ხდება ხოლმე,მისეული, მაგრამ ქრისტიანული წარმოშობის და ხასიათის დღესასწაული ოფიციალურ კალენდართან და სახარებისეულ მოვლენასთან დააკავშირა. დააკავშირა და ერთგვარი „აპოკრიფული“ დღესასწაული შექმნა.

სავარაუდოდ, სწორედ ქრისტიანი რუსი მრევლის გზით უნდა შემოსულიყო რაჭაში რუსული ხალხური, ეროვნული დღესასწაული *სოლომონიდები* ან *სალომიები/სალომეები*. როგორც ჩანს, ეს დღე რაჭულ ხალხურ კალენდარში ორ დღეზე გადანაწილდა (26.12/07.01 და 27.12/08/01). ერთი იყო შობის მომდევნო დღე, როგორც რუსეთში და მეორე შობის მესამე დღე. მაგრამ ქართულ სინამდვილეში შობის მეორე დღე („შობის დედა“) უშუალოდ ღვთისმშობელს დაუკავშირდა, შობის მესამე დღე,„შობის ბებია“, კი სავარაუდოდ, იმ ბებიაქალს, რომელსაც იესო ქრისტეს შობაში უნდა მიეღო მონაწილეობა.„შობის დედის“კავშირი მშობიარე ქალებთან და უსაფრთხო მშობიარობასთან არ უნდა ყოფილიყო მხოლოდ სოლომონიდებიდან გამომდინარე, არამედ, იმ ქართული ხალხური შეხედულებებიდანაც, რომლის მიხედვითაც ღვთისმშობელი ქალებისა და შვილიერების მფარველად მიაჩნდათ. ალბათ ამის მიზეზი იყო ის, რომ ყოფაში „შობის დედა“ უფრო შემორჩა, ვიდრე „შობის ბებია“.„გავლენები, რომლებიც უცხო კულტურიდან შემოდიან, კი არ ქმნიან ახალ რელიგიურ სისტემებს, არამედ ევრიან უკვე არსებულს. წარმატებულად დამკვიდრებული გარედან შემოსული სიახლე ნიშანია იმისა, რომ მოცემულ კულტურაში უკვე არსებობდა მსგავსი რელიგიური სისტემა“ – წერდა მირჩე ელიადე.

ამდენად, ვფიქრობთ, რომ „შობის დედა“ და „შობის ბებია“, მართალია, იესო ქრისტეს შობას ეხმიანება, მაგრამ არის რუსული ხალხური ქრისტიანული დღესასწაული, რომლის გაჩენა ქართულ გარემოში რუსული ეკლესიის საქართველოში შემოსვლას და მის მრევლს უნდა უკავშირდებოდეს. როგორც ჩანს, ეს დღესასწაული ქართულმა ტრადიციამ ნაწილობრივ მიიღო და ორ დღეზე გადაანაწილა. „შობის ბებიის“ ანუ შობის მესამე დღის აღნიშვნის ტრადიცია ხანმოკლე აღმოჩნდა და უკვე 1930-იან წლებში ხალხს მის შესახებ მხოლოდ სახელწოდება ახსოვდა.

**ნინო ლამბაშიძე,**
**ისტორიის დოქტორი**

## 50

***ნათლის მხედარს ყოველთვის არ შეუძლია რწმენის შენარჩუნება.***

არის ისეთი წუთები, როცა იმას ამ ქვეყანაზე არცრა სწამს და ეკითხება თავის გულს: „ნუთუ დიდხანს მამყოფებ ამ დღეში?

მაგრამ გული დუმს. და მხედარმა თავად უნდა იღონოს რამე.

ისიც დგას და ეძებს, იქნებ ან მაგალითი, ან ნიმუში რამ ვიპოვო ჩემს დღეში მყოფი კაცისთვის გამოსადეგიო. და აგონებდა, რომ იესომაც გაიარა ერთხელ ამის მსგავსი გზა, რათა მთელი სისრულით გაეზიარებინა სიკვდილისშვილის ხვედრი.

„მამაო ჩემო, თუ შესაძლოა, ამარიდე სასმისი ესე“, – თქვა იესომ.

ყოფილა შემთხვევა, იმასაც დაუკარგავს ვეჟკაცობა და სულის სიმხნევე, მაგრამ არ გაჩერებულა.

ნათლის მხედარი, არცთუ იშვიათად რაღაც დროის განმავლობაში ურწმუნოდ დარჩენილი, მაინც განაგრძობს გზას და ბოლოს და ბოლოს იხვეჭს დაკარგულს.

## 51

***ნათლის მხედარმა იცის, რომ ადამიანიშვილი კუნძული არ არის.***

თავხელმარტოს ბრძოლა არ შეუძლია. რა ჩანაფიქრიც არ უნდა ჰქონდეს, ის სხვა ადამიანებზეა დამოკიდებული.

ის ყოველთვის საჭიროებს ვისმე, ვისთანაც ერთად განსჯის თავის ამა თუ იმ განზრახვას, ვისაც შემწეობას რასმე და ხელაპყრობას სთხოვს, ხოლო შეარაქათებისას, კოცონს მიმჯდარი, თავისი გადატანილი ბრძოლების ამბავს მოუყვება.

მაგრამ ნათლის მხედარი ვერ აიტანს, რომ ადამიანებმა ეს თხოვნა-საჭიროება ისე გაიგონ, თითქოს იმას თავისი თავის რწმენა არა ჰქონდეს. საქმენი იმისი სათვალამჩენოა, მაგრამ ყოველი ჩანაფიქრი საიდუმლოთია მოცული.

ნათლის მხედარი ხან ცეკვავს კიდეც თავის ამხანაგებთან ერთად, მაგრამ თავისი გადადგმული ნაბიჯების გამო პასუხისმგებლობას არცვისს სხვას არ აკისრებს.

## 52

***ბრძოლებს შორის შესვენებისას ნათლის მხედარი მუხლს ქარს აღებინებს.***



ასრულებს რა თავისი გულის მოთხოვნას, ხშირად ხდება, რომ ნათლის მხედარი უსაქმოდ არის, მაგრამ სული მაინც ემხნევება. ასეთ დღეებში ის სიზარმაცის მომაკვდინებელ ცოდვას არ სჩადის, რადგან იცის, ვაითუ ცუდაობის რეტისრეტი დამართონ კვირა საღამოებმა, როცა დრო ტყუილუბრალოდ ჩხირკედელობაში გადის.

ნათლის მხედარი ამას, „სასაფლაოს სიმშვიდეს“ არქმევს.

ის არ ივიწყებს აპოკალიფსის სტრიქონთ: „ვიცი შენი საქმენი: შენ არც ცივი ხარ, არც ცხელი. ო, ნეტავ ან ცივი იყო, ან ცხელი! მაგრამ რაკი ნელ-თბილი ხარ შენ, არც ცივი და არც ცხელი, ამოგანთხევ ჩემი პირიდან“.

ნათლის მხედარი არც დასვენებას იკლებს და არც მხიარულებას.

მაგრამ მუდამ ყურცქვიტად არის.

## 53

***ნათლის მხედარმა იცის: მთელი სოფელ-ქვეყანა მოცულია შიშით მთელი სოფელ-ქვეყნის წინაშე.***

ეს შიში ჩვეულებრივ ვლინდება ორგვარად: ან ომის სისხლის წვიმებით, ან მორჩილი დახელქვეითებით. ეს ერთი მედლის ორი მხარეა.

ამიტომ, თუ იმის წინაშე აღმოჩნდა, ვინც შიშსა ჰგვრის, ნათლის მხედარს მეხსიერება არ ღალატობს: ეს კაცი თავის თავში ისეთივე დაურწმუნებლობას შეუპყრია. მერედა, მსგავსი დაბრკოლებანი თვითონაც ხომ გადაულახავს, ამავე სიძნელეებსაც ხომ გადასწყდომია!

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №212-216




**პორტუგალიური ტექსტი დედნის ბწკარედის მიხედვით გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა**

მაშ, რატომ არის ეს კაცი უფრო ძლიერი? იმიტომ რომ თავის შიშს ის იყენებს როგორც ძრავას და არა როგორც მუხრუჭს.

და ნათლის მხედარი, სწავლობს რა თავისი მოწინააღმდეგისგან, იმის ალი-კვალად იქცევა.

## 54

***ნათლის მხედრისთვის შეუძლებელი სიყვარული არ არსებობს.***

იმას ვერ შეაცბნუებ ვერც გაუცხოებული დუმილით, ვერც გულგრილობით, ვერც უგულებელყოფით. ის ხედავს, რომ ყინულის ნიღაბქვეშ, რომლითაც ადამიანები სახეს იფარავენ, მხურვალე გული იმალება.

ამიტომ ის უფრო მეტ რისკს ეწევა, ვიდრე სხვა ადამიანები. განუწყვეტლივ და გამუდმებით ეძებს ის სიყვარულს – მერე რა ვუყოთ, თუ ამ ძებნა-ძიებაში ხანდახან ესმის სიტყვა „არა“, თუ წბილდება კიდეც, თუ გარიყულია სულითაც და ტან-სხეულითაც.

ნათლის მხედარი არცვის თავს არ აშინებინებს, როცა იმას ეძებს, ურომლისოდაც გაძლება არ ძალუძს. უსიყვარულოდ ის არცრაა.

## 55

***ნათლის მხედარს შეუძლია შეიცნოს მდუმარება, გადამწყვეტ ბრძოლას წინ რომ უძღვის.***

და ეს მდუმარება თითქოს ეუბნება:

„ყოველივე გაინაბა და გაჩერდა. განა უკეთესი არ იქნება, ეგ ბრძოლა დაივიწყო და გაერთო?“ გამოუცდელი მეომრები ასეთ წუთებში იარაღს ხელიდან აგდებენ და ჩივიან, ნაღვლიანად ვართო.

მხედარი გულისხმიერად აყურადებს სიწყნარეს და იცის, რომ სადღაც რაღაც წუთი წუთზე მოხდება. მან ისიც უწყის, რომ გამანადგურებელი მიწისძვრები გაუფრთხილებლად ხდება. ბევრჯერ ღამეულ ტყეში ნახეტიალებს ახსოვს ეს უტყუარი ნიშანი: უკეთუ ნადირ-ფრინველთა ხმა არ ისმის, მაშასადამე, საშიშროება ახლოა.



და სანამ სხვები ლაპარაკს უნდებიან, ნათლის მხედარი მახვილის ფლობის თავის ხელოვნებას სრულყოფს და თვალს არ აცილებს ცისკიდურს.

## 56

***ნათლის მხედარი მიმნდობელია.***

სასწაულებისა სჯერა – და სასწაულებიც ხდება.

იგი დარწმუნებულია, რომ აზრით ძალუძს ცხოვრების შეცვლა – და ცხოვრება თანდათან სულ სხვანაირდება.

არცროდის ეჭვი არ ეპარება, რომ სიყვარულს შეხვდება – და სიყვარულიც ეგრევე მოდის.

ჟამიჟამ მწარე იმედგაცრუებას განიცდის, ხანისად იტანჯება კიდეც.

„რა გულუბრყვილო ვინმეა“ – არცთუ იშვიათად ესმის ზურგს უკან.

მაგრამ მხედარმა იცის, რომ მოგებული რჩება.

თითოეულ მარცხზე ორი გამარჯვება მოდის.

ეს სუყველამ უწყის, ვინც გულდაჯერებულია.

## 57

***ნათლის მხედარი მიხვდა, რომ ყოვლის უკეთესია – სდიო ნათელს.***

უკვე არაერთხელ უცრუია, უგულტყუებია, თავისი გზიდან გადაუხვევია, არეარეზე უვლია ბნელში.

და ყველაფერი შერჩენია, ყურებზე, არავის ხახვი არ დაუჭრია.

მაგრამ აი, მოულოდნელად წინ უფსკრული გაეპო;

შეიძლება, რომ ათასი მტკიცე და ურყევი ნაბიჯი გადადგას, მაგრამ ათას მეერთე ნაბიჯი ზედ უფსკრულის კიდეს სწყდება, როცა ნათლის მხედარს წამებიღა რჩება გადაჩეხვამდე და დაღუპვამდე.

ამ გადაწყვეტილების ფიქრში მყოფ ნათლის მხედარს უცებ საიდანღაც ხმა მოესმის: „შენ ყოველთვის არასწორად იქცეოდი. უკვე გადაჟამყრუებული ხარ, გვიანაა შენი გამოცვლა. არა ხარ კარგი კაცი. შენ გადახტომას არ იმსახურებ“.

და იგი ცას ახედავს. და მავანი ხმა ჩამოსძახის:

„ძვირფასო, მარტო შენ კი არა, მთელ ქვეყანას მოსვლია შეცდომები. შენ მიტევებული ხარ, შენდობილი, მაგრამ მე არ ძალმიძს, რომ თავს მოგახვიო ეს მიტევება და შენდობა. შენი საქმისა შენ იცი“.

ჭეშმარიტი ნათლის მხედარი არ დაეუარება მიტევებას.

## 58

***ნათლის მხედარი მუდამჟამს სრულყოფილებას ესწრაფვის.***



იმისი მახვილის ყოველ მოქნევაში სიბრძნისა და გულისთქმათა ასწლეულებია. თითოეული მოქნევა უნდა შეიცავდეს წარსულის იმ სუყოველი მეომრის ძალასა და სიმკვირცხლეს, რომელთაც ახლაც კიდევ ეჭაშნიკებათ ბრძოლის ველზე მტერთან შებმა. ნათლის მხედრის მახვილის ყოველი მოძრაობა. პატივს მიაგებს იმ მოძრაობებს, წინამავალი თაობები ამჟამინდელთათვის ტრადიციის წიაღ გადაცემას რომ ცდილობდნენ.

ნათლის მხედარი სრულყოფს თავისი მოქნევის სილამაზეს.

## 59

***ნათლის მხედარი ნდობის ღირსია.***

ხანისად ის ნაჩქარევ ნაბიჯებს ადგამს; ზოგჯერ თავისი თავი გაცილებით მნიშვნელოვნად წარმოუდგენია, ვიდრე სინამდვილეშია. მაგრამ არა ტყუის. კოცონს გარს შემორიგებულ ძმაკაცებს და დაქალებს იმ მთისა და ამ ბარის ამბებს უყვება. მან იცის, რომ იმისი სიტყვები სოფელ-ქვეყნის მეხსიერებაში შემოინახება როგორც დასტური რამ იმისა, რასაც იმისი ფიქრები ეძღვნება.

„ არა, მაინც რატომ ვლაპარაკობ ამდენს, თუკი ხანდახან სიტყვების საქმეებად ქცევა არ ხელმეწიფება? – ფიქრობს იგი.

„როცა ხალხში ხარ და გულღიად იცავ შენს შეხედულებებს, შენდაუნებურად იძულებული ხარ, რომ ხალხის შესაბამისად იცხოვრო“, – ეპასუხება გული.

ვინაიდან და რადგანაც იმისი სიტყვები მუდმივი და სწორი ანარეკლია იმისავე აზრთა, ნათლის მხედარი ბოლოსა და ბოლოს იმ კაცად იქცევა, რა კაცადაც წეღან წარმოედგინა თავი.

**(გაგრძელება იქნება)**

მედიცინა

# იმუნური სისტემის სასიცოცხლო მნიშვნელობა



**XX საუკუნის მეცნიერულ აღმოჩენებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია იმუნური სისტემის აღმოჩენა. მანამდე იმუნურ სისტემას ცალკე არც კი განიხილავდნენ, თუმცა ყველა დაავადებას თავისი იმუნოლოგიური მექანიზმი აქვს. დღესდღეობით უკვე დადგენილია, რომ ორგანიზმის შინაგან გარემოს მთლიანობას, ანუ ერთიანობას სწორედ იმუნური სისტემა განაპირობებს. ესე იგი, იმუნური სისტემა ემსახურება ორგანიზმის თავდაცვას.**

**ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ვესაუბრეთ მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორს, საქართველოს იმუნოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარეს, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ნოდარ გოგებაშვილს.**

— იმუნური სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი ორგანიზმის ყველა სასიცოცხლო ფუნქციაზე რეაგირებს. ამიტომაც ძალზე ლაბილურია. იმუნურ სისტემას უცხოეთში „პოლიციურს" უწოდებენ, ვინაიდან ორგანიზმში მოხვედრილ უცხო სხეულს მაშინვე ამოიცნობს და შეებრძოლება. საქმე ისაა, რომ ადამიანის ორგანიზმი უამრავი უჯრედისგან შედგება, რომლებიც განუწყვეტლივ მრავლდებიან, რა დროსაც განსხვავებული უჯრედებიც წარმოიქმნება.

იმუნური სისტემის ფუნქცია ქვეითდება ნერვული და ფიზიკური სტრესების დროს. დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში, სოციალური მდგომარეობის გაუარესების გამო, იმუნური სისტემის ნორმალური ფუნქციონირება ბევრს დაქვეითებული აქვს. ამასთან დაკავშირებით ჩვენ სათანადო გამოკვლევებიც ჩავატარეთ და საკმაოდ არასასიამოვნო შედეგი მივიღეთ: მოსახლეობის იმუნური ფონი მკვეთრად დაქვეითებულია. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ დღესდღეობით ბევრმა ავადმყოფობამ საკმაოდ მძიმე ფორმა მიიღო: თუ ადრე ზოგიერთი სნეულება შედარებით მსუბუქად მიმდინარეობდა, დღეს იგივე დაავადება მძიმედ მიმდინარეობს და, სამწუხაროდ, სიკვდილიანობაც მაღალია.

იმუნური სისტემა დღის განმავლობაში რამდენჯერმე იცვლება. მასზე ძალიან დიდ ზეგავლენას ახდენენ ემოციები, დიდი და ხანგრძლივი ფიზიკური, ასევე გონებრივი დატვირთვაც. ზომიერი დატვირთვის პირობებში იმუნური სისტემის ფუნქცია მეორე დღისათვის აღდგება ხოლმე, მაგრამ თუ დატვირთვა უფრო ინტენსიური ხდება და თანაც მატულობს, მაშინ იმუნური სისტემა აღდგენას უკვე ველარ ასწრებს. დაბოლოს, არის ისეთი შემთხვევები, რომლის დროსაც ფუნქციის აღდგენა აღარ ხდება, ვითარდება იმუნური სისტემის დამბლა და ადამიანი იღუპება. ამიტომ სწორედ იმუნური სისტემა იძლევა იმის საშუალებას, რომ დატვირთვის დონე ვარეგულიროთ: თუ აღდგენა ჩამორჩება დატვირთვას, მაშინ დატვირთვა უნდა შემცირდეს. ეს მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა, განსაკუთრებით სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელებისთვის.

როდესაც ვსაუბრობთ იმუნურ სისტემაზე, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ნევროზები. ყველასთვის ცნობილია, რომ ნევროზს აქვს უამრავი გამოვლინება: ესენია ძირითადად ადვილად დაღლა, ნორმალური ძილის მოშლა, შრომისუნარიანობის დაქვეითება. ასეთ ადამიანებს გულთან დაკავშირებით პრობლემები უჩნდებათ, აწუხებთ ტკივილები მკერდის არეში, უჩნდებათ ტაქიკარდია (გულისცემის აჩქარება) და სხვა.

გერმანიაში, აშშ-სა და ინგლისის სამედიცინო ცენტრებში ნევროზები ქრონიკული დაღლილობის სინდრომის სახელწოდებით გამოყვეს და ჩამრთველ მექანიზმად იმუნოდეფიციტის განვითარება აღიარეს.

**— როგორ მკურნალობენ ნევროზებს?**

— ნევროზის მკურნალობა სპეციალური პრეპარატების მეშვეობით ხდება და მშვენიერი შედეგებია მიღებული. ეს გახლავთ არა სიმპტომატური, არამედ ეთიოტროპული მკურნალობა, ანუ მკურნალობა სპეციალური პრეპარატებით, რომლებიც იწვევენ იმუნური სისტემის აქტივაციას. მათ იმუნომოდულატორები ეწოდება.

ეს პრეპარატები იმუნურ სისტემას ან აქვეითებენ ან აძლიერებენ. მაგრამ ისიცაა, რომ იმუნური სისტემის სტიმულაცია ასე „ბრმად" არ შეიძლება: წინასწარ უნდა განისაზღვროს სისტემის მდგომარეობა, ინახოს რომელი ჯგუფია შესუსტებული და ის უნდა გაძლიერდეს. ეს ხდება სპეციალური პრეპარატების მეშვეობით, რაც განსაკუთრებით კარგ შედეგებს გვაძლევს ნევროზების მკურნალობისას. იმუნური სისტემა და მასთან დაკავშირებული პრობლემები იმდენად აქტუალურია, რომ მათი გვერდის ავლა შეუძლებელია.

**— ბატონო ნოდარ, საინტერესოა, როგორ მიმდინარეობს უმაღლეს სამედიცინო სასწავლებლებში იმუნოლოგიის სწავლებაა?**

— იმუნოლოგიაში ვმუშაობ სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების დღიდან და დიდი ბრძოლა დამჭირდა საიმისოდ, რომ იმუნოლოგთა საზოგადოება ჩამომეყალიბებინა. დღესდღეობით იმუნოლოგია უმაღლეს სასწავლებელში ისწავლება, ზოგან — არა და თუ ისწავლება, საამისოდ სემესტრში ძალიან ცოტა აკადემიური საათია გამოყოფილი. ამავე დროს, უცხოეთში მოწინავე სამედიცინო სასწავლებლებში იმუნოლოგია ისწავლება III-დან VI კურსის ჩათვლით, იმიტომ, რომ ყველა დაავადებას თავისი იმუნოლოგიური მექანიზმი აქვს, რაც ექიმებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია.

დიდი შრომა დამჭირდა იმისათვის, რომ საქართველოში განვითარებულიყო იმუნოლოგიური სკოლა. საბჭოთა კავშირის დაშლამდე, მე გახლდით მოსკოვის სამედიცინო აკადემიის პრეზიდიუმის იმუნოლოგიური საბჭოს წევრი. ყველანაირად ვცდილობდით, რომ ეს დარგი განვითარებულიყო ჩვენშიც და შეიქმნა კიდეც ძალიან კარგი იმუნოლოგიური სკოლა, მაგრამ დღეს ცალკე პროგრამა იმუნოლოგიის დარგში არ არსებობს, რადგან ყველაფერი ფინანსებთან არის დაკავშირებული, რაც არ გვაქვს, უწინ მომზადებული კადრებიც აღარ გვყავს...

დღესდღეობით, ერთეული ლაბორატორიებია შემორჩენილი და ისიც კომერციული ხასიათის, ამიტომაც სათქმელი აუცილებლად უნდა ითქვას: სისხლის ერთი სინჯი რომ ავიღოთ და ხუთ სხვადასხვა ლაბორატორიაში გავგზავნოთ საანალიზოდ, ხუთ განსხვავებულ პასუხს მივიღებთ(?!), რაც იმის უტყუარი ნიშანია, რომ ანალიზები არაკვალიფიციურად, უხარისხოდ სრულდება.

**— მაშასადამე, გამოდის, რომ საქართველოში არ არსებობს ისეთი ლაბორატორია, სადაც ანალიზს ზუსტად, კვალიფიციურად გააკეთებენ?**

— საქმე ისაა, რომ ლაბორატორიას უნდა ჰქონდეს სათანადო ლიცენზია: ჯერ საგულდაგულოდ მოწმდება ლაბორატორიის ტექნიკური ბაზა, შემდეგ ამ ლაბორატორიას უგზავნიან გამოსაკვლევ მასალას და ჩატარებული ანალიზი უნდა დაემთხვას საერთაშორისო სტანდარტიზებულ მონაცემებს. ასეთი ლიცენზირებული ლაბორატორია კი საქართველოში დღესდღეობით არ არსებობს.

**— ბატონო ნოდარ, ცოტა ხნის წინათ თქვენ კიდევ ერთი წიგნი გამოეცით, რას გვეტყოდით მის შესახებ?**

— წიგნი გერმანიის ეროვნული ბიბლიოთეკის გამომცემლობამ ქალაქ ზაარბრიუკენში დაბეჭდა, სადაც რუსეთულ ჟურნალ „ალერგია და იმუნოლოგიაში" ჩემი სტატია წაუკითხავთ და სტატიების კრებულის, ან მონოგრაფიის მიწოდების წინადადებით მომმართეს. გერმანიაში დასტამბული მონოგრაფიის ავტორთა ჯგუფის წევრები გახლავან ჩემი მეუღლე ლალი ჯაში და ქალიშვილი ნინო გოგებაშვილი, რომლებიც სამედიცინო განხრით სტომატოლოგები არიან, ამდენად, ნაშრომში პარადონტიტის საკითხებია განხილული და მასში მსოფლიოს მოწინავე მეცნიერთა შრომების, ასევე საკუთარი კვლევების ანალიზია ერთად მოცემული.

**— გმადლობთ საუბრისთვის.**

ესაუბრა
**ირინა ტატიშვილი**

ხუმარსიტყვა

# ბიზნესი გინებითაც კეთდება!

**ნუ მკითხავთ, საპატიმროში რა ხრიკებით შევძვერი, მაგრამ რაზე ვესაუბრე გალიაში გამომწყვდეულ ბიზნესმენს, ამას კი დაწვრილებით მოგიყვებით.**

— ბატონო ბისკვიტა (ციხეში შერქმეული სახელია), — ვეუბნები, — ინტერვიუ უნდა გთხოვოთ.

— ბატონო კი არა და, — იწყინა ბისკვიტამ, — როდის იყო პატიმარს ბატონობით მიმართავდნენ. თუ ძმა ხარ, შენობით მელაპარაკე.

— კეთილი, მოვისაწყლე თავი, — ჩემს ჟურნალისტურ პრაქტიკაში პატიმარს პირისპირ პირველად ვხვდები და...

— ჰო, გეტყობა კიდეც, შეშინებულს გავხარ.

— არა, უფრო განცვიფრებული ვარ, მაინტერესებს, მართლა მილიონები გაქვს?

— აა ჩემმა მილიონებმა განგაცვიფრა?

— კი, ამას ვერ დავმალავ.

— შე დალოცვილო, ჩემი მილიონები რო გაგიკვირდა, რატო ჩინოვნიკებისა და პარლამენტარების მილიონები არ განცვიფრებს?

— ეგენი ხალხისგან იმდენ გინებას იტანენ, ჩემო ბატონო (ბატონო ისევ წამომცდა!), უფრო მეტიც რომ მოიხვეჭონ, ვერ შეედავები.

— სამაგიეროდ, გარეთ მაინც არიან.

— მეც ეგ მაკვირვებს, ამდენი ფულის პატრონს ციხეში რა გაჩერებს?

— ნუთუ ვერ ხვდები, აქ გაცილებით უკეთესი სამუშაო პირობებია, ვიდრე გარეთ.

— რას გულისხმობ?

— იმას, რაც რეალურად არის, — აქ დაუბეგრავ ბიზნესს ვაკეთებ.



— როგორ, არსებული საგადასახადო კანონი საპატიმროზე არ ვრცელდება?

— არა, აქ მოგება მთლიანად მრჩება.

— გარეთ როცა იყავი?

— მოგებაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა, თანაც უამრავ მაკონტროლებელს, ფაქტობრივად, უთოფო ყაჩაღს ვაჭმევდი.

— აქ რა, ციხის უფროსობა წილში არ გიზის?

— არა, იმათ თავიანთი ბიზნესი აქვთ.

— ეს მართლაც მიღწევაა (მოვუწონე), მაგრამ აქედან გარეთ ბიზნესს როგორ მართავ?

— თანამედროვე მენეჯმენტით. ხომ ხედავ, ტელევიზორიც მიდგას, კომპიუტერიც, მობილური ტელეფონიც ხვინჭასავით მიყრია (რომ არ დამბლოკონ, ნომრებს დღეგამოშვებით ვიცვლი).

— მაინც რომ ჩაგავლონ?

— რას მიზამენ, ერთხელ უკვე დაჭერილი ვარ და მეორედ ხომ არ დამიჭერენ?

— „სროკი" რომ გაგიზარდონ?

— გაზარდონ რა, ხომ გითხარი, გარეთ სამუშაო პირობები მაინც არ არის და რა ვადით ვიჯდები გალიაში, ამას რა მნიშვნელობა აქვს.

— ახლა ოპოზიცია ერთიანდება და მოსალოდნელია, ახლო მომავალში ბევრი რამ შეიცვალოს.

— არ დაიჯერო, მაგათგან არაფერი გამოვა.

— აბა რას ამბობ, ბოკერიასა და „გირჩელების" გამოსვლებს არ ისმენ?

— რომ ვისმენ, მაგიტომ გეუბნები, სწორედ ნაცების ხელდასხმულმა საგადასახადო პოლიტიკამ მაიძულა ციხეში დავმჯდარიყავი.

— რა ვიცი, სხვებს კი აგინებენ და...

— ეგეც თავისებური ბიზნესია. პოლიტიკოსებად მოაქვთ თავი, თორემ სინამდვილეში გინებით ბიზნესის მკეთებლები არიან.

— არ გადამრიო, მთავრობის, აგრეთვე, პარლამენტის სხდომებზე, ტელეეთერში გამოსვლისას ერთმანეთის გინებაში მაგათ ფულს ვინ მისცემს?

— რომ არ იძლეოდნენ, არ შეიგინებოდნენ. დღეს ყველაზე დიდი ბიზნესი გინებით კეთდება.

— მაგას არ ურჩევნიათ, საქმე აკეთონ?

— საქმის კეთება ძნელია, გინება ადვილი. აგე ნახე, შალიკუნა ლეიბორისტი, მაგის გაკეთებული საქმე ვის უნახავს, გინებით კი სრასახლები აიშენა(!).

— მართალი ხარ, ახლაც მაგრად იგინება.

— რატომ არ შეიგინება, თავის დროზე შევარდნაძისა და სააკაშვილის გინება ხახვივით შერჩა და ახლა ივანიშვილზე გადავიდა. უფრო სწორად, ახლა სამივეს ერთად, კომპლექსურად თათხავს — ბანდიტები, კრიმინალები და ქვეყნის დამაქცევრები არიანო.

— მე რომ სააკაშვილისა და ივანიშვილის ადგილზე ვიყო, მაგ ცრუპენტელა მოლაყბეს ცილისწამებისთვის ვუჩივლებდი და ციხეში შენს გვერდით გამოვამწყვდევდი.

— მარტო გამომწყვდევა არ უშველის, ჩემი აზრით, ამასთან ერთად, გინებაზე, როგორც ყველაზე შემოსავლიანი ბიზნესის სახეობაზე, გადასახადი უნდა დააწესონ.

— მერე ვითომ მოუკლებენ გინებას?

— აბა რას იზამენ, მაგათ რომ სალარო-აპარატი დაუდგან (ხომ მოგისმენია, როგორი ტემპით იგინებიან!), ბიუჯეტი იმდენ შემოსავალს მიიღებს, სეკვესტრი საერთოდ აღარ დასჭირდება.

მომეწონა, მშვენიერი აზრია. ინტერვიუს რომ გამოვაქვეყნებ, ხელისუფლებაში ამ საკითხსაც დავაყენებ-მეთქი, შევპირდი ბიზნესმენ ბისკვიტას.

**ოტია ჩართოლანი**

◎ ტესტ-მატჩის წინ

# „ბორჯღალოსანთა“ შემადგენლობა ასეთია

**ნოემბრის ტესტ-სერიის მეორე, წლის ბოლო საშინაო მატჩამდე „ბორჯღალოსანთა“ მთავარმა მწვრთნელმა მილტონ ჰეიგმა ნაკრების ის 23 მორაგბე დაასახელა, რომლებიც დღეს 15 საათზე სამოას ნაკრებს „მიხეილ მესხზე“ დაუხვდებიან.**

ჩვენს გუნდში სამი ცვლილებაა და მათგან ორი ტრავმებითაა გამოწვეული.

### შერკინება

მორკინალეებმა იაპონელებს შავი დღე აყარეს და ჰეიგმა ფორვარდები უცვლელად დატოვა. თამაშს იწყებს ვასილ ლობჟანიძეც, ხოლო მგეზავად ლაშა მალაღურაძე დადგება, რომელმაც გასულ შაბათს ტრავმირებული ლაშა ხმალაძე მე-11 წუთზე შეცვალა.

### დებიუტანტი ხაზში იწყებს

ასევე ტრავმირებული შუამარბის დავით კაჭარავას ნაცვლად მერაბ შარიქაძეს გიორგი კოშაძე შეუწყვილდება. რუსთავის „ხარების“ მორაგბისთვის, რომელიც პირველ ლიგაში თამაშობს, ეს პირველი სანაკრებო კეპია. მან თავი „უმცროს ბორჯღალოსნებში“ 2015 წლის მსოფლიო ალაფაში გამარჯვებითა და 2016 წლის ახალგაზრდულ მსოფლიო ჩემპიონატზე საუცხოო თამაშით გამოიჩინა.

ფრთაზე გიორგი აფციაურის ნაცვლად თამაშს გამოცდილი ალექსანდრე თოდუა დაიწყებს, რომელიც იაპონიასთან გასულ ნოემბერს მოედანზე შესვლა არ მოუწია, ხოლო ბურჯები დავით ქუბრიაშვილი და კარლენ ასიეშვილი არიან. ეს უკანასკნელი ვასილ კაკოვინს ჩაანაცვლებს. თადარიგში არც ამჯერადაა მეორე ხაზის მოთამაშე. კვლავინდებურად სკამზეა გიორგი თხილაიშვილი, ხოლო ლაშა ლომიძის ნაცვლად მოედანზე შალვა სუთიაშვილს უნდა ველოდოთ.

მარქაფაში გადაინაცვლა




ნაცხადში არ იყო. მეორე ფლანგზე კვლავ თამაზ მჭედლიძეს, ხოლო ფულბეკად მერაბ კვირიკაშვილს ვიხილავთ.

### მარქაფა

მარქაფაში სამი ისეთი მორაგბეა, რომლებიც ერთი კვირის წინათ განაცხადში არ იყვნენ. კვლავ შეცვლაზეა და სადებიუტო შანსს ელოდება ბადრი ალხაზაშვილი, რომელსაც 12 აფციაურმა. სკამიდან იწყებს თამაშს გიორგი ბეგაძე და იქვეა ქუთაისის „ბაგრატის“ მგეზავი რევაზ ჯინჭველაშვილი, რომელსაც ჰეიგმა ხმალაძის ტრავმის შემდეგ უხმო. მას „ბორჯღალოსნების“ კვართით ორჯერ აქვს ნათამაშები — 2013 წელს თბილისის თასზე სამხრეთი აფრიკა „ა“-ს და 2016 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატზე გერმანიის წინააღმდეგ.

**კობა კობახიძე**

◎ ლეგიონერი




# კახა მახარაძე - უკვე ოთხგზის!

**29 წლის კახა მახარაძე მეოთხედ გახდა უზბეკეთის ჩემპიონი. ქართველი ნახევარმცველი ტაშკენტის „ლოკომოტივში“ გამოდის. მას მანამდეც უთამაშია ამ კლუბში, ხოლო უფრო დიდხანს, 4 წლის განმავლობაში ტაშკენტის „ფახთაქორში“ გამოდიოდა.**

მახარაძე 2012, 2014 და 2015 წლებში „ფახთაქორში“ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, ამჯერად კი იგივე „ლოკომოტივშიც“ მოახერხა. ეს მოხდა ბოლოსწინა ტურში, როცა უახლოესმა მდევარმა „ბუნიოდკორმა“ თავისი შეხვედრა ვერ მოიგო და „ლოკომოტივი“ მიუწვდომელი გახდა.

24 მატჩი, 3 გოლი — ასეთია კახა მახარაძის პირადი სტატისტიკა უზბეკეთის მიმდინარე ჩემპიონატში. ის გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. შეგახსენებთ, რომ შარშან მან საქართველოს ეროვნულ ნაკრებშიც ითამაშა მალტისა და გერმანიის წინააღმდეგ გამართულ შეხვედრებში.

**გიორგი შოთაძე**

◎ ინტერნეტიდან

# მარადონა რესტორნების ქსელის გახსნას აპირებს

**სანამ საქართველოში პოლიტიკური პარტიები მარიხუანას ლეგალიზება-არალეგალიზებაზე ლაყაფით არიან დაკავებულნი, მანამდე მარიხუანას (და არამხოლოდ მარიხუანას) ჭეშმარიტი დამფასებელი და პოპულარიზატორი დიეგო არმანდო მარადონა სულ სხვა საფიქრალს შეუპყრია.**

ლეგენდარულ არგენტინელ ფეხბურთელს კარგად ესმის საკუთარი ცნობადობის ფასი და რაკი ბევრ სხვა საქმეში ხელი მოეცარა, გადაწყვეტილი აქვს სამშობლოსა და ევროპაში მისი სახელობის რესტორნების ქსელი გახსნას. ამის შესახებ დიეგო თანამემამულე ჟურნალისტებს ესაუბრა.

მარადონას სურვილი აქვს, რომ მის მიერ გახსნილი რესტორნები შედარებით დაბალფასიანი სეგმენტისა იყოს და ნებისმიერი შეძლების ადამიანებს შეეძლოთ იქ შესვლა. კერძები, ცხადია, არგენტინული იქნება, თუმცა, თუკი ეს იდეა განხორციელდება, შესაძლებელია, მთელი რიგი ცვლილებები მოხდეს.

**ვიტალი ჯაფარიძე**




◎ ვახტანგ ბალავაძე-90

# ჭიდაობის პროფესორი

**ასე იცნობენ სპორტის სამყაროში სახელოვან ქართველ ფალავან ვახტანგ ბალავაძეს, რომელიც 1926 წლის 20 ნოემბერს სამტრედიის რაიონის სოფელ ღანირში დაიბადა. იგი პირველი ქართველი მსოფლიოს ჩემპიონია თავისუფალ ჭიდაობაში (1954, ტოკიო). მეორედ მსგავს ტიტულს 1957 წელს (სტამბოლი) დაეუფლა. მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლისა და მელბურნის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი სსრკ ექვსგზის ჩემპიონია, მათ შორის — ხუთჯერ (1952, 1953, 1954, 1955, 1957) თავისუფალ ჭიდაობასა და ერთხელ (1952) სამბოში. საბჭოთა კავშირის ხალხთა ორი სპარტაკიადის (1956, 1959) ვერცხლის პრიზიორმა და მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულმა 1953 წელს ახალგაზრდობის პირველი მსოფლიო ფესტივალი მოიგო. სპორტის დამსახურებული ოსტატი ვახტანგ ბალავაძე არის ავტორი წიგნებისა - „ქართველი ფალავნები მსოფლიო და ოლიმპიურ შეჯიბრებებზე“ (1961), „ფალავნები ხალიჩაზე“ (1968). თანაავტორია სახელმძღვანელოებისა — „კლასიკური ჭიდაობა“ (1965) და „თავისუფალი ჭიდაობა“ (1970), დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის, ხალხთა მეგობრობის, ღირსების, ვახტანგ გორგასლის მე-2 ხარისხის ორდენებითა და სხვადასხვა მედლით, ჭიდაობის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის — ფილა-ს ოქროს ორდენით. 1999 წლიდან თბილისის საპატიო მოქალაქეა.**



„ჭიდაობას რა უნდა და ფეხის გამოკვრა უნდაო“, — უთქვამს ქართველ კაცს. ბატონ ვახტანგს ფეხის გამოკვრა, მართლაც, ჩინებულად ეხერხებოდა — მის სარმებს მრავალჯერ გაუოგნებია მეტოქე. ჭიდაობის პროფესორს (ეს სახელი მას 1953 წელს ბუქარესტში მსოფლიო ახალგაზრდობის საერთაშორისო ფესტივალზე შეარქვეს, სადაც თავისუფალ ჭიდაობაში პირველი ადგილი დაიკავა) წელში გამართული შერკინება უყვარდა, რადგან ამ დროს ფეხის გამოკვრას ელვისებური გდება მოჰყვებოდა ხოლმე. 1954 წელს იაპონიაში მსოფლიოს ჩემპიონატზე ირანელმა მოჰამედ ალი ფარდინმა, ნახევარფინალური ორთაბრძოლა რომ წააგო (0:5), ქართველ ფალავანს, თურმე, ხუმრობით უთხრა, „შენთან ჭიდაობა შეუძლებელია. რომ იჭიდაო, ფეხზე უნდა იდგე, შენ კი ამის საშუალებას არ იძლევიო“.

რამდენიმე წლის წინათ თბილისის სპორტის სასახლეში ვახტანგ ბალავაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირს დავესწარი. უამრავი სტუმარი იყო ჩამოსული. ერთ-ერთი გახლდათ ცნობილი უკრაინელი მოჭიდავე, რომის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, მსოფლიო თასის ორგზის მფლობელი, 1961 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი ვლადიმირ სინიავსკი, რომელმაც ვახტანგ ბალავაძესთან ურთიერთობები გაიხსენა და ერთი საინტერესო ეპიზოდი მიამბო:

— 1958 წელს თეირანში ირანისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების ტრადიციული ამხანაგური მატჩი გაიმართა. ორთაბრძოლები სტადიონზე ღია ცისქვეშ ჩატარდა და შაჰიც დაესწრო. ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულსა და მსოფლიოს ჩემპიონ იმამ ალი ჰაბიბის უნდა შევხვედროდი. კერპის გამოჩენისთანავე 40 ათასზე მეტი მაყურებელი დასაკლავი ხარივით აბღავლდა. გამოუცდელი მოჭიდავე ვიყავი და, მართალი გითხრათ, ამგვარი სურათის მნახველს მუხლები მომეკვეთა. ამ დროს ვახტანგ ბალავაძე მომიახლოვდა, მხარზე ხელი დამკრა და ლამის შემევედრა: ვოვა, მიხსენი!.. ვერ მივუხვდი თხოვნას და დაბნეული მზერა მივაპყარი. ვახტანგმა განაგრძო: ბიჭებს დავენაძლევე, რომ შენ ამ ორთაბრძოლას მოიგებ. თუ დამარცხდები, ულვაში უნდა მოვიპარსო, უულვაშოდ კი, ხომ იცი, თბილისში არ ჩამესვლება...

უცებ ულვაშმოპარსული მეგობარი წარმოვიდგინე და გულიანად გადავიხარხარე. შევტრიალდი და სახელდახელოდ მოწყობილ საჭიდაო სარბიელზე ავირბინე. ვიცოდი, ჰაბიბი „წისქვილზე“ წამოვიდოდა და აუცილებლად არასპორტულ ხერხს გამოიყენებდა. წინასწარ დამუშავებული ილეთით ორჯერ მოვიგერიე მისი შეტევა, ორი წუთიც არ იყო გასული, პარტერში გამოვიჭირე და ბეჭებზე დავაწვინე. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ვახტანგი პირველი მომვარდა, გადამეხვია და შემაქო — ყოჩაღ, ულვაში გადამირჩინეო, მითხრა...

გულისხმიერ პიროვნებასა და ტიტულოვან ფალავანს ხვალ 90 წელი უსრულდება.

ბატონო ვახტანგ, იუბილეს გილოცავთ და ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას გისურვებთ!

**ვაჟა დანელია**

# გაზიფიცირებულ რაიონებშიც კი შეშით თბებიან!

**ზამთარი ძალას იკრებს და რეგიონებში სათბობის პრობლემა კვლავ მოუგვარებელია. ხალხმა შეშა ჯერაც ვერ მოიმარაგა, ხოლო სადაც გაზიფიცირება დასრულებულია, მოსახლეობა ხელმოკლეობას უჩივის და ყოველთვიური გადასახადის გადახდას ვერ ახერხებს.**

კავკასიის გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელის (cenn) ინფორმაციით, საქართველოში სათბობი რესურსის 70 პროცენტი მყარ საწვავზე მოდის. სოფლების დიდი ნაწილი კვლავ გაზიფიცირების გარეშეა და შეშაზე მოთხოვნის შემცირების ტენდენცია უმნიშვნელოა. თავად სატყეო რესურსის გამოყენებაც არაეფექტურად ხდება.



იმ დასახლებებში კი, რომლებიც უკვე გაზიფიცირებულია, მოსახლეობა გათბობას მაინც მყარი საწვავით ამჯობინებს, რადგან ის უფრო იაფი უჯდება. მაგალითად, კახეთში, მოსახლეობის უმრავლესობის გარდა, უმთავრესად მყარი საწვავით თბებიან სკოლებსა და სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში. რეგიონში სულ 15-მდე სკოლაა, სადაც ცენტრალური გათბობა მუშაობს, რომელიც ბუნებრივ აირს მოიხმარს.

მოსახლეობის უმეტესობა კი ჩივის, რომ ყოველთვიურად დაბალი შემოსავალი აქვს. შესაბამისად, გაზით გათბობას ვერ ახერხებენ და უფულობის გამო, ზამთრისთვის ჯერ შეშაც არ შეუძენიათ. მათ შორის არის ლაგოდეხში მცხოვრები 75 წლის ქალბატონი. მართალია, მას სახლში ბუნებრივი აირი აქვს, მაგრამ თავის რჩენა პენსიით უწევს და ბუნებრივი აირით ვერ თბება, რადგან, მისივე თქმით, პენსიიდან გადასახადს ვერ გადაიხდის.

cenn-ში აცხადებენ, რომ შეიძლება, მალე შეშის რესურსი მთლიანად ამოიწუროს:

— 90-იან წლებში გახშირებულმა არალეგალურმა ჭრამ, ხე-ტყეზე დამოკიდებულების ზრდამ და მასობრივმა გაკაფვამ სერიოზული ეკოლოგიური პრობლემა შექმნა. ბოლო დროს საქართველომ 160 მილიონ ლარამდე ეკოლოგიური ზარალი განიცადა. ტყის ჭრა თუ არ შემცირდება, გაცილებით მეტი დანაკარგი იქნება. მართალია, გარკვეული ტერიტორიის გაზიფიცირება ხდება, მაგრამ მოსახლეობა ძირითად სათბობად მაინც შეშას იყენებს. ზოგს გაზის შეყვანის შესაძლებლობა არა აქვს, ზოგსაც — გადასახადის გადახდის. ტყეები დეგრადირებულია და მათ მოვლას წლები დასჭირდება. სახელმწიფო ვალდებულია, გათბობის ალტერნატიულ შესაძლებლობებზე დაფიქრდეს და გაუფრთხილდეს გარემოს", — აცხადებს cenn-ის წარმომადგენელი გიორგი იორამაშვილი.

მოახლოებულ ზამთრის სეზონთან დაკავშირებით, ეროვნული სატყეო სააგენტო მოსახლეობას მიმართავს, იმ შემთხვევაში თუ მათ ვერ შეძლეს ტყეკაფების რესურსის ათვისება, რეგიონულ სატყეო სამსახურებს დაუკავშირდნენ.

— გაზაფხულის დადგომისთანავე მოხდა ტყეკაფების გამოყოფა და არსებულ ტერიტორიამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია. მომზადდა საინფორმაციო სატელევიზიო ვიდეორგოლი და ყველა მუნიციპალიტეტში საინფორმაციო დაფებზე განთავსდა საჭირო ინფორმაცია. მოსახლეობის შეშით დროული უზრუნველყოფის მიზნით, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო ყოველწლიურად, გაზაფხულის დადგომისთანავე, ახორციელებს ტყეკაფების გამოყოფისა (მოსაჭრელი ხეების მონიშვნის) და ტყეკაფამდე მისასვლელი სატყეო გზების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოებს საქართველოს ყველა რეგიონში. ასევე, აღსანიშნავია, რომ არსებობს წინა წლების ტყეკაფების ნაშთები, საიდანაც მოსახლეობას მთელი წლის განმავლობაში შეუძლია ხე-ტყის ათვისება, — აცხადებენ სატყეო სააგენტოში.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სოციალური ჭრის ფარგლებში, ყოველწლიურად დაბალ ზონაში მცხოვრებ კომლს არაუმეტეს 7 კბ/მ და მაღალმთიან ზონაში მცხოვრებ კომლს არაუმეტეს 15 კბ/მ საშეშე მერქნის მოპოვება შეუძლია. სოციალური ჭრის ფარგლებში მოპოვებული მერქნული რესურსის გასხვისება-რეალიზაცია აკრძალულია.

**ბექა დანელია**

## სულთათანა

# გაიოზ ვასაძე



**გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გაიოზ შალვას ძე ვასაძე. დაიბადა 1928 წლის 14 მაისს ქ. ქუთაისში, სამხედრო მოსამსახურის ოჯახში.**

**1952 წელს ლენინგრადის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის ოქროს მედლით დამთავრების შემდეგ, არაჩვეულებრივად უთავსებდა ერთმანეთს სამხედრო ექიმის რთულ მოვალეობას სამეცნიერო მუშაობას. 1958 წელს იცავს საკანდიდატო, ხოლო 1963 წელს — სადოქტორო დისერტაციას.**

**1960 წელს ბრუნდება თბილისში და მუშაობას იწყებს ქალთა ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის ინსტიტუტის ექსპერიმენტული ქირურგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელად. იმავე წლის ბოლოს გადადის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის ინსტიტუტის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და სამედიცინო რადიოელექტრონიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელად, ხოლო 1962 წელს — ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში. 1963-1983 წლებში მუშაობდა ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტის ჯერ სამედიცინო კიბერნეტიკის განყოფილების გამგედ, ხოლო 1971 წლიდან — დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში. 1984-1987 წლებში მუშაობას განაგრძობს ჯანდაცვის სამინისტროს IV მთავარი სამმართველოს ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის დირექტორად, 1987-1994 წლებში — მის მიერ ჩამოყალიბებული ჯანდაცვის ინფორმატიზაციისა და კომპლექსური ავტომატიზაციის ინსტიტუტის დირექტორად. 1985-1991 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო კიბერნეტიკისა და ინფორმატიკის კათედრის გამგე.**

**1994 წელს არჩეულ იქნა საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიაში, იყო აკადემიკოს-მდივანი, ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარე. მის კალამს ეკუთვნის 340 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, 6 მონოგრაფია. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 6 სადოქტორო და 23 საკანდიდატო დისერტაცია. იგი იყო ახალი სამეცნიერო მიმართულების, სამედიცინო კიბერნეტიკის ფუძემდებელი საქართველოში.**

**სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის პარალელურად აკადემიკოსი გაიოზ ვასაძე მუდამ ეწეოდა ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც. ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. სხვადასხვა წლებში იყო პათფიზიოლოგთა საკავშირო საზოგადოების გამგეობის წევრი, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სამედიცინო ინფორმატიკისა და ბიოსამედიცინო ინჟინერიის ასოციაციის პრეზიდენტი, სამედიცინო ინფორმატიკის საერთაშორისო ასოციაციის წევრი, გერმანიის ბიოსამედიცინო ტექნიკის სამეცნიერო საზოგადოების საპატიო წევრი.**

**ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობისთვის ბატონი გაიოზ ვასაძე დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის ორდენით“, „ხალხთა მეგობრობის ორდენით“ და „ღირსების ორდენით“.**

**ნათელში იყოს შესანიშნავი მეცნიერისა და პედაგოგის, პროფესორ გაიოზ ვასაძის სული.**

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი**

## ◎ ახალი წიგნი

# კვლავ „საქართველო“...




**გამოიცა** ცნობილი ეკონომისტისა და პუბლიცისტის **ანზორ ბაბუხადიას** მორიგი კრებული, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის, საერთაშორისო დონეზე, „საქართველოს“ სახელწოდების დამკვიდრების აუცილებლობას ეხება. წიგნის სათაურია: „ბიჭებო! ცამდე ავწიოთ საქართველოს სახელი!“, რაც აღებულია ამ თემისადმი მიძღვნილი პოეტის დალი ყარაულაშვილის ლექსიდან. ნაშრომში ოფიციალურ დოკუმენტებზე დაყრდნობითაა წარმოდგენილი ამ თემაზე ბატონი ანზორის მიერ ბოლო ათი წლის განმავლობაში ჩატარებული საქმიანობა; ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა და მეცნიერთა დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი; შესულია პრესაში გამოქვეყნებული სათანადო უახლესი გამოხმაურებები, რომელთა ავტორები არიან: ჟურნალისტი ალექსანდრე შენგელია, პოპულარული დრამატურგი და მსახიობი იზა ვეფხვაძე, მწერალი და ჟურნალისტი გივი ჯაჭუა, მკვლევარი და პუბლიცისტი ჯემალ დავლიანიძე, პროფესორი რეზო ბალანჩივაძე და პროფესორი ოთარ ჟორდანია. იდეის ავტორისადმი თავიანთი დამოკიდებულება გამოხატულია აგრეთვე ჯანსუღ ჩარკვიანის, თემურ ჩალაბაშვილის, თენგიზ უთმელიძის, მერაბ ბერაძისა და დალი ყარაულაშვილის ლექსებში.

სათანადო დოკუმენტებზე დაყრდნობით, წიგნში ვრცლადაა გაშუქებული საქართველოს პარლამენტის მხარდამჭერი და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს არაადეკვატური, უარყოფითი დამოკიდებულება ეროვნული მნიშვნელობის ამ პრობლემისადმი.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის ახალი შემადგენლობა, ეროვნული მნიშვნელობის ამ პრობლემას გახდიან საგანგებო განსჯის საგნად და მიიღებენ გადაწყვეტილებას, რომელიც შესაბამისობაში მოვა საქართველოს კონსტიტუციასთან.

**რუსუდან ქობულია**

# რობოტი ადამიანს თავს დაესხა

**პირველად მსოფლიოს ისტორიაში, ჩინეთში რობოტი ადამიანს თავს დაესხა. ინციდენტი ტექნოლოგიურ გამოფენა China Hi-Tech Fair-ზე მოხდა.**

რობოტმა Little Chubby-მ უარი თქვა მისი შემქმნელის სტენდზე დაკვირვებაზე და უეცრად, გაურკვეველი მიზეზების გამო, სხვა სტენდს მიეჭრა და იქ მომუშავე ადამიანს თავს დაესხა. ინციდენტისას აღნიშნული პიროვნება შეეცადა რობოტი შეეჩერებინა და სწორედ მაშინ მოხდა ინციდენტი. რობოტმა ფეხზე გადაუარა მას და მისი ჰოსპიტალიზაცია გახდა საჭირო.

აღსანიშნავია, რომ Little Chubby ბაზარზე პოზიციონირებს როგორც სასწავლო რობოტი, რომელიც განკუთვნილია ბავშვებისთვის. მისი ღირებულება აშშ-ში 1400 დოლარია.



## სანთელი

**გაზეთ „თანადგომის“ რედაქცია ღრმა სამძიმარს უცხადებს ქალბატონ ნათელა და ბატონ იუზა ვასაძეებს ძვირფასი ძმის**

**გიზო ვასაძის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის მუშაკთა სახელით სპარტაკ ქობულია, გურამ გოგიაშვილი, ალეკო ასლანიშვილი და რუსლან რუსია ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ ქალბატონ ნათელა ვასაძეს ძმის, ცნობილი ექიმისა და საზოგადო მოღვაწის, პროფესორ**

**გაიოზ ვასაძის**

**გარდაცვალების გამო.**

სულიერება

# კრება წმინდა მთავარანგელოზთა მიქაელისა, გაბრიელისა, რაფაელისა და სხვათა უხორცოთა ზეცისა ძალთა...



**21 ნოემბერს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს მთავარანგელოზთა – მიქაელისა, გაბრიელისა, ურიელისა, სელაფიელისა, ეგუდიელისა, ბარაქიელისა (ასევე იერომიელისა და ტახნიელისა) კრების ხსენებას.**

...მთავარანგელოზთა ხსენებას საქართველოში განსაკუთრებით ზეიმობენ თბილისის, ქუთაისის, ჯუმათის, გრემის, მენჯის, კვათანის, შუამთის და სხვა მთავარანგელოზთა სახელობის ტაძრებში და ასევე მონასტრებში.

ნიშანდობლივია, რომ ადამიანები ღვთის ნებას ანგელოზებისგან იღებენ. სრული ჭეშმარიტებაა მაგალითი იმისა, თუ როგორ აუწყა მთავარანგელოზმა **გაბრიელმა** მარიამ ღვთისმშობელს, რომ ის დედა გახდებოდა – კაცობრიობის მხსნელისა იესო ქრისტესი.

საგულისხმოა ის, რომ მთავარანგელოზი **მიქაელი** ხატწერაში შემდეგნაირადაა დაწერილი – ხელში ზეთისხილის რტოთი და ჯავშნით, მთავარანგელოზი ურიელი კი – ხმლით და ცეცხლის ალით, მთავარანგელოზი **რაფაელი** თევზთან და წამლის ჭურჭლით, **სელაფიელი** მთავარანგელოზი მლოცველის პოზაშია გამოსახული, მთავარანგელოზი **იეგუდიელი** – მარჯვენაში ოქროს გვირგვინით, მარცხენა ხელში კი – შოლტით, მთავარანგელოზი **ბარაქიელი** ყვავილების ვარდისფერი გვირგვინით და ვარდისფერი სამოსითაა შემკული და შემოსილი. რაც შეეხება მთავარანგელოზებს **იერომიელსა** და **ტახნიელს,** ისინი სასწორით ხელში არიან გამოსახული, ისინი მიიჩნევიან საღვთო სიყვარულის აღმძვრელად.

ცნობილია, რომ ანგელოზები ესწრებოდნენ ხილული სამყაროს შექმნას და ადიდებდნენ შემოქმედის სიბრძნეს და ძალას!

ნიშანდობლივია ისიც, რომ მთავარანგელოზთა ხსენების დღესასწაული მსოფლიო საეკლესიო კრებამდე რამდენიმე დღით ადრე დაწესდა.

გილოცავთ მთავარანგელოზთა კრების დღესასწაულს!

**გიული ლიპარტია**

ანეკდოტები

**ვერაფრით ვერ გამიგია იმ ხალხის, ვისაც არ ესმის, თუ რატომ იზრდება ბენზინის ფასი. ეს ხომ ძალიან მარტივია:**

**1. როცა იზრდება ნავთობის ფასი, მაშინ, ცხადია, უნდა მატულობდეს ბენზინის ფასიც, ვინაიდან ბენზინი ნავთობიდან კეთდება.**

**2. როცა ნავთობის ფასი ეცემა, მაშინ ჩვენში ბენზინის იმპორტიორებს მისი ფასის მომატება უწევთ ნედლი ნავთობის ფასის საკომპენსაციოდ.**

**3. ხოლო როცა ნავთობის ფასი სტაბილურია, ბენზინის ფასი იზრდება იმიტომ, რომ ქვეყანაში ინფლაციაა.**

**აბა, რა არის ამაში გაუგებარი?**



* * *

**– ბატონო პავლე, მინდა თქვენი ქალიშვილის ხელი გთხოვოთ!**

**– ო, შე ეშმაკო! ხელიო, ჰა? ბარემ ერთიანად წაგეყვანა, განა ასე არ აჯობებს?!...**

* * *

**– ექიმო, მიშველეთ, პიროვნების გაორება მჭირს!**

**– ნუ ღელავთ, გეთაყვა, დაბრძანდით!... აქ თქვენ დაბრძანდით, იქით თქვენ დაჯექით და ახლა ოთხივემ დავილაპარაკოთ ჩვენს პრობლემაზე!**

* * *

**– იცით, ქალბატონო, თქვენს ქმარს სრული სიმშვიდე სჭირდება, მისთვის ნერვების აშლა არაფრით არ შეიძლება! – ეუბნება ფსიქოთერაპევტი პაციენტის ცოლს.**

**– ეჰ-ეჰ-ეჰ, ბატონო ექიმო, რომ იცოდეთ, რა დღეში ვარ! მე ხომ ქმარი ყურს არასდროს არ მიგდებს!**

**– ძალიან კარგია, ქალბატონო, ძალიან კარგი! მაგას რა სჯობია!**

განცხადება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი – შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

რას არ გაიგებ!..

# მალე მამაკაცებიც შეძლებენ შვილის გაჩენას...



**სულ რაღაც 10 წელიწადში მამაკაცებს შეეძლებათ, ორსულობაც და მშობიარობაც საკუთარ თავზე გამოსცადონ. მეცნიერები და ექიმები ამტკიცებენ, რომ თითქმის უკვე შესაძლებელი გახდა მამაკაცის ორგანიზმში საშვილოსნოს გადანერგვა, რამდენიმე წელიწადში კი ეს ჩვეულებრივი ოპერაცია იქნება. თუმცა ძალიან ძვირად ღირებული და დიდი რისკის შემცველი...**

ოპერაციამდე მათ უნდა გაიარონ ჰორმონალური თერაპია, რომელსაც იტარებენ სქესის შეცვლის მსურველი ადამიანები, შემდეგ კი საშვილოსნოს გადანერგვის რთული ქირურგიული ოპერაცია და ... თუ დაფეხმძიმდა, მშობიარობა ელოდებათ წინ...

# საშიში მულტფილმები




**ფსიქოლოგებმა ის ანიმაციური ფილმები დაასახელეს, რომლებიც ბავშვების ფსიქიკაზე უარყოფითად მოქმედებენ.**

ამ შავ სიაში პირველ ადგილზე, სამწუხაროდ, ყველასთვის საყვარელი და პოპულარული მულტფილმი „მაშა და დათვი“ გავიდა. მათი აზრით, მთავარი მოქმედი გმირი პატარა მაშა ყოველთვის დაუსჯელი რჩება, მიუხედავად თავისი საძაგელი ხასიათისა და ქცევებისა.

მეორე ადგილზეა „მონსტრი ჰაი“, სადაც სიუჟეტი მონსტრების სკოლაში ვითარდება, გმირები ჟარგონებით საუბრობენ და უამრავ სისაძაგლეს სჩადიან.

მესამე პოზიციაზეა „ღრუბელი ბობი ოთხკუთხა შარვლით“ – ის და მისი მეგობრები ბილწსიტყვაობენ და ხშირად აჯავრებენ უფროსებს. მეოთხე ადგილს „ტომი და ჯერი“ იკავებს, რომელიც წლებია, მრავალი ბავშვის საყვარელი ანიმაციაა. ფსიქოლოგები ფიქრობენ, რომ კატისა და თაგვის საქციელი ბავშვებს უფროსებისადმი უპატივცემულობას უნერგავს.

ყველა მშობელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ბავშვი რაც შეიძლება ნაკლებად გავართოთ ამ ჯადოსნური ფილმებით.

# ტრამპს ცოლ-შვილის სითამამე არ აღიზიანებს



**ამერიკის ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციამდე ჯერ შორსაა, მაგრამ ყოველდღიურად ტრამპებზე უამრავი სიახლე იბეჭდება.**

მისი ახლანდელი მეუღლის მელანია ტრამპის და ექსცენტრიკული უფროსი ქალიშვილის ივანკას თამამმა სურათებმა იმ ადამიანების ყურადღებაც კი მიიპყრო, რომლებსაც პოლიტიკა საერთოდ არ აინტერესებთ.

თავად პრეზიდენტი მათ სიშიშვლეს მშვიდად უყურებს. **„მელანია ულამაზესი მოდელი გახლდათ და მას, რა თქმა უნდა, ბევრ თამამ ფოტოსესიაში ექნება მონაწილეობა მიღებული“**– განაცხადა პრეზიდენტმა.

მავანნი იმასაც ამბობენ, რომ მელანიას ერთ-ერთმა სურათმა, რომელზეც პირველი ლედი სხვა ქალბატონთან ერთად თამამად პოზირებს, ტრამპს დამატებითი ხმები მოუტანა ლგბტ-მხარდამჭერებისგანო.

ეს ყველაფერი სულ არ აღელვებს მილიარდერ ტრამპს, იგი ხომ ყველაზე დემოკრატიული ქვეყნის პრეზიდენტია.

**მოამზადა**
**რუსუდან ქოზულიამ**

განცხადება

იყიდება დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან“ ორასიოდე მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი – შეთანხმებით. ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოზულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.4926; ევრო - 2.6686;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1018;
100 რუბლი - 3.8143; თურქული ლირა - 0.7523;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4273;
1000 სომხური დრამი - 5.2038.

**ამინდი 19 ნოემბრისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე 0, | დღე +11 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -5, | დღე +7 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +1, | დღე +11 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -3, | დღე +7 |
| თბილისი: | ღამე +3, | დღე +8 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE